ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 25 ივლისი, 2016 | №174 (7100) | ფასი: 50 თეთრი

## ქართველებს თურქეთში დასვენება აღარ უნდათ



ინგა გრიგოლია: „ათათურქის აეროპორტში ტერაქტის შემდეგ თურქეთის ჯავშანი გავაუქმე“ გვ.6



# ეკა ბესელია ჩააჩოჩეს

გვ.2



## ნაციონალებიდან მთაწმინდაზე კენჭს ნიკა რურუა იყრის

გვ.4



## თამაზ მეჭიაური: „რუსეთიდან ფული არ წამომილია“

გვ.3

„ერდოღანმა თუ იმ ყველაფრის შემდეგ პუტინს დაურეკა, მე რატომ არ უნდა შევხვედროდი რუს კოლეგებს“



## სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ძრავა ისევ ივანიშვილია“

გვ.5



## აფხაზეთში კრიზისი გრძელდება

გვ.4



პრეზიდენტი და ოპოზიცია ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ

ISSN 1987-9385

## ტერორიზმის საფრთხე გვიახლოვდება?



გვ.2

როდესაც საქართველოს მეზობელი ქვეყნები მუსლიმი ტერორისტების ბაზადაა ქცეული, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს. ის, რომ საქართველოში ჯერჯერობით სიმშვიდეა, არ იძლევა მოდუნების საშუალებას.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ტერორიზმის საფრთხე გვიახლოვდება?

სოსო ზაალიშვილი



**ორიოდე დღის წინ თბილისში, ისრაელის საელჩოსთან, პატრულის თანამშრომლებმა აზიური გარეგნობის ადამიანი შენიშნეს, რომელიც ფოტოებს უღებდა საელჩოს შენობასა და მიმდებარე ტერიტორიას.**

**საეჭვო პიროვნება დააკავეს. აღმოჩნდა, რომ ის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე გახლდათ, რომელიც საქართველოში კანონიერ საფუძველზე იყო შემოსული.**

ირანსა და ისრაელს დიპლომატიური კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ირანის ისლამური რევოლუციის ლიდერ აიათოლა ხომეინის მმართველობის პერიოდში ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა. თუმცა, როდესაც ირანის შეიარაღებული ძალები ჩართული იყვნენ ერაყის წინააღმდეგ ომში 1980-იან წლებში, მათ არ უყოყმანიათ იარაღის შეძენაზე ისრაელისგან, რაკეტებისა და სამხედრო თვითმფრინავების ჩათვლით, თუმცა საიდუმლოდ. ისრაელი ამაში არა მხოლოდ კომერციულ ინტერესს, არამედ ამ მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობას ხედავდა.

მიუხედავად ამისა, ირანმა ისრაელის საელჩოს შენობა და მიმდებარე ტერიტორია პალესტინის გათავისუფლების ფრონტს გადასცა, ქუჩას კი, რომელზეც დიპლომატიური შენობა იყო განთავსებული, იმ დროისთვის ისრაელში ტერორისტად მიჩნეული იასირ არაფატის სახელი დაარქვა.

ირანის სახელმწიფოს საგარეო დაზვერვა ოფიციალურად აფინანსებს ლივანურ შიიტურ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰესბოლას. ისრაელსა და ლივანს შორის წარმოებული ომი რეალურად ჰესბოლასა და ისრაელს შორის სამხედრო დაპირისპირება იყო.

დღესაც, სირიაში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისას, ისრაელის ავიაციამ არაერთხელ აღკვეთა ჰოლანის სიმაღლეებზე ჰესბოლას შეიარაღებული ნაწილების გამაგრების, ისევე, როგორც ამ ორგანიზაციისათვის თანამედროვე იარაღის გადაცემის მცდელობა.

რამდენიმე ხნის წინ ირანი ღაზას სექტორში არსებული ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის დაფინანსებასაც შეუდგა. ჰამასის წარმომადგენლები ღაზას სექტორის ხელისუფლებას წარმოადგენენ. ორივე ორგანიზაციის ხელმძღვანელი არაერთხელ ყოფილა ირანში, ოფიციალური შეხვედრები გაუმართავს ამ ქვეყნის ხელმძღვანელებთან. ჰესბოლას, ისევე, როგორც პალესტინის გათავისუფლების ფრონტსა და ჰამასს, არაერთი ტერორისტული აქტი აქვს განხორციელებული ისრაელის მოქალაქეთა წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

2012 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ ჰესბოლას ტერორისტებს საქართველოში ისრაელის საელჩოზე სურდათ თავდასხმა.

მართლაც, იმ დროს საქართველოს სამართალდამცავებმა დაადასტურეს ეს ფაქტი. საელჩოს მანქანის ქვეშ მძღოლმა შემთხვევით აღმოაჩინა ასაფეთქებელი მოწყობილობა. ეს საქმე არც მაშინ მიიყვანეს ბოლომდე და დღემდე გამოუძიებელია.

◆ ◆ ◆

დავუბრუნდეთ რამდენიმე დღის წინ მომხდარ შემთხვევას. საბოლოოდ საქმე საემიგრაციო სამსახურს გადაეცა, რომელმაც უნდა დაადგინოს ირანის მოქალაქის საქართველოში ყოფნის კანონიერება. ჩვენთვის უცნობია, ამ ინციდენტისა და პიროვნების შესახებ მოხდა თუ არა ინფორმაციის მიწოდება ისრაელის სპეცსამსახურებისათვის, მაგრამ ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც ირანის მოქალაქე დატოვებს საქართველოს, მას საქართველოში კანონიერად შემოსვლის საშუალება აღარ ექნება.

დაახლოებით ერთი წლის წინ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად აღმოვაჩინე, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ძალიან მარტივად და საერთაშორისო ფასებთან შედარებით იაფად შესაძლებელი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყალბი პასპორტის შეძენა. დოკუმენტი არაფრით განსხვავდებოდა ნამდვილისგან. ასეთი პასპორტის ფასი 2.500-6.000 დოლარამდე მერყეობდა. გააჩნია, რომელი ქვეყნის მოქალაქეობას არჩევდი.

იმ დროს თურქეთიდან სირიაში ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად ევროკავშირის მრავალი მოქალაქე მიემართებოდა და მათი პასპორტები თურქეთში არსებულ რეკრუტირების პუნქტებში რჩებოდა. ასეთ საბუთში მცირე ცვლილებების შეტანა ან თუნდაც ახალი მსგავსი საბუთის დაბეჭდვა ნატოს წევრი თურქეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებული ჯგუფებისთვის ნამდვილად არ იყო რთული.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს არაერთხელ უთქვამთ, რომ მუსლიმი ტერორისტების, ჯიჰადისტების უმრავლესობა სწორედ თურქეთში დაბეჭდილი ყალბი საბუთებითაა ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე შესული, მათი ნაწილი – სირიიდან დევნილის, ნაწილი კი ევროკავშირის ქვეყნების პასპორტებით.

სირიული პასპორტები თურქებს მაშინ ჩაუვარდათ ხელში, როდესაც ბაშარ ალ-ასადის მომხრეები უკან იხევდნენ, დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს ტოვებდნენ, შეიარაღებული ოპოზიციის წევრებს კი უჩნდებოდათ შესაძლებლობა, გამზადებული საბუთები მიეთვისებინათ.

როდესაც საქართველოს მეზობელი ქვეყნები მუსლიმი ტერორისტების ბაზადაა ქცეული, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს. ის, რომ საქართველოში ჯერჯერობით სიმშვიდეა, არ იძლევა მოდუნების საშუალებას. საჭიროა ქმედითი ზომების მიღება იმისათვის, რომ თუ საერთოდ არ შეჩერდეს, მინიმუმ შეიზღუდოს ტერორისტული ორგანიზაციების თავმოყრისა და კავშირში შემჩნეულ ქვეყნებთან საიმიგრაციო პოლიტიკა.

ამავდროულად, აუცილებელია თანამშრომლობის გაღრმავება ტერორიზმთან ბრძოლის წარმატებული პრაქტიკის მქონე ქვეყნების სპეცსამსახურებთან, ახალი, თანამედროვე პირობებს მორგებული უსაფრთხოების პროტოკოლების შექმნა, რათა საპარლამენტო არჩევნების წინ და შემდეგაც მავანს არ მიეცეს საშუალება, დესტაბილიზაცია შექმნას საქართველოში, რომელიც გარშემორტყმულია პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში მყოფი, პოტენციური დესტაბილიზაციის მატარებელი მეზობლებით.

# ეკა ბესელია ჩააჩოჩეს

შორენა მარსაგიშვილი

**გასული კვირის მიწურულს „ქართულმა ოცნებამ" სამეგრელოს რეგიონის მაჟორიტარები დაასახელა. ისევე, როგორც იმერეთის რეგიონში, აქაც კანდიდატებად გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები წარადგინეს. პატივისცემის გარეშე არც ყოფილი ნაციონალები დაუტოვებიათ. კანდიდატთაგან ერთ-ერთი მოქმედი მინისტრია, ერთ მოქმედ დეპუტატს კი იმედები სასტიკად გაუცრუვდა.**

**მთელი ეს პერიოდი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატად ისევ ეკა ბესელიას კანდიდატურა იქნებოდა წარდგენილი. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებთან საუბარში ეკა ბესელიამაც დაადასტურა.**

გასულ კვირას კი ცნობილი გახდა, რომ ფოთის მაჟორიტარად ბესელიას აღარ დაასახელებდნენ. არადა, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ბესელია და მანანა კობახიძე აუცილებლად მოხვდებოდნენ პარლამენტში.

მათი სადეპუტატო პერსპექტივა კითხვის ნიშნის ქვეშ ალეკო ელისაშვილის მიერ ატეხილი სკანდალის გამო დადგა. მართალია, ამ ქალებს პროკურატურამ არაფერი დაუმტკიცა, მაგრამ ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულა. არც ერთი და არც მეორე ძველ სამაჟორიტაროში აღარ დაასახელეს. არ არის გამორიცხული, ისინი სიაში შეიყვანონ ან თბილისის რომელიმე რაიონში წარადგინონ.

რაც შეეხება ჯერ ისევ ბესელიას სამაჟორიტარო ფოთს, აქ მაჟორიტარობის კანდიდატად ირაკლი ხახუბია დასახელდა.

მის შესახებ ფოთში ბევრი არაფერი იცოდნენ და ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა, ვინ არისო. როგორც მაჟორიტარების წარდგენისას ითქვა, ხახუბია ბიზნესიდან მოდის პოლიტიკაში.



– ირაკლი ხახუბია არის წარმატებული ბიზნესმენი და ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც, – აღნიშნა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა.

ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მაჟორიტარებად საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის გამგებელი წარადგინეს.

– „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს" ქალაქ ზუგდიდში წარმოადგენს მერაბ ქვარაია. იგი არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესიით გახლავთ იურისტი და ეკონომისტი. ბატონი მერაბი ზუგდიდელია. მას ყველა კარგად იცნობთ. თავადაც კარგად იცის ქალაქის პრობლემები. ზუგდიდელებს მისი სახით საიმედო დასაყრდენი ეყოლებათ პარლამენტში.

ზუგდიდის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება ედიშერ თოლორაია. იგი გახლავთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, პროფესიით იურისტია, ახალგაზრდა და ენერგიული კაცია, რომელიც ასევე ენერგიულად გააგრძელებს ზუგდიდელების ინტერესების დაცვას პარლამენტში, – აღნიშნა წარდგენისას მთავრობის მეთაურმა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოქმედი გამგებელი, იურისტი გოგა გულორდავა წალენჯიხა-ჩხოროწყუს მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება.

ხობის მიმართულებით „ოცნებას" არჩევანი ორ ბუკიას შორის უნდა გაეკეთებინა. გიგა ბუკია კონსერვატორების წევრია, მისი მოგვარე გოდერძი კი ყოფილი ნაციონალია. 2012 წელს მან ხობი ნაციონალების ეგიდით მოიგო. „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ მილიონერმა დეპუტატმა ახალ ხელისუფლებას გამოუცხადა მხარდაჭერა.

ეს მხარდაჭერა გოდერძი ბუკიას დაუფასდა და ახლა ის „ოცნების" კანდიდატია. როგორც „ახალ თაობას" პარტიაში უთხრეს, ის იმ კუთხით შეირჩა, რომ არჩევნებში საკუთარ ფინანსებს დახარჯავს და იქით დაეხმარება მმართველ გუნდს.

სენაკის მაჟორიტარად „ქართულმა ოცნებამ" დაასახელა ირაკლი ბერაიას კანდიდატურა.

– ირაკლი გახლავთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი. მას განათლება მიღებული აქვს ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტში საერთაშორისო დიპლომატიის მაგისტრის წოდებით. იგი მუშაობდა „წითელი ჯვრის" საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორად და შსს-ს რეფორმირების დეპარტამენტის დირექტორად. ირაკლი დღეს უძღვება გალისა და ერგნეთის ინციდენტების, პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფს ცენტრალური ხელისუფლებიდან. ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ადამიანია, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.



მარტვილისა და აბაშის მაჟორიტარობის კანდიდატი კი სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია იქნება.

– ოთარ დანელია წარმოშობით მარტვილელია, თავისი კუთხის პატრიოტია და ყველაფერს გააკეთებს როგორც მარტვილელების, ისე აბაშელების ინტერესების დასაცავად, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

რამდენიმე დღის წინ „ახალ თაობასთან" საუბარში „დაიცავი საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა მიქაიამ იმედი გამოთქვა რომ „ოცნება" ღირსეულ მაჟორიტარებს წარადგენდა.

წარდგენილმა კანდიდატებმა მიქაიას იმედები გაუცრუეს.

– ძალიან გამიჭირდება მაჟორიტარების ბეგრაუნდზე საუბარი. გამოვყოფ მხოლოდ ორ ადამიანს, რომელთაც ნამდვილად აქვთ მოგების შანსი. ესენი არიან მარტვილი-აბაშის რეგიონში წარდგენილი ოთარ დანელია და სენაკში – ირაკლი ბერაია. ამ ორ ადამიანს მართლაც შეუძლია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ნაციონალურ მოძრაობასა და სხვა პარტიებს. დანარჩენზე მე ვერაფერს გეტყვით, – აცხადებს მიქაია.

მას იმედები განსაკუთრებით ბუკიას კანდიდატურამ გაუცრუა.

– გოდერძი ბუკია ბრეჟნევის დროიდან არის, მგონი, ხობელების მაჟორიტარი. „ხობელი ყვარყვარე" ისევ „ცვეტშია" და ისევ ხობელების სახეს წარმოადგენს, – ამბობს მიქაია.

რაც შეეხება ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატებს, კახა მიქაია ამბობს, რომ მათზე საერთოდ ვერაფერს იტყვის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამაზ მეჭიაური: „რუსეთიდან ფული არ წამომილია“

შორენა მარსაგიშვილი

რა მიზნით წავიდა მოსკოვში, რაზე შეუთანხმდა რუს დეპუტატებს, რა უნდა დავთმოთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ დეპუტატი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

***— ბატონო თამაზ, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ პირველად მოხდა, რომ ქართველი დეპუტატი მოსკოვში წავიდა ოფიციალური ვიზიტით. ამან რაიმე უხერხულობა არ შეგიქმნათ?***

— უხერხულობა რატომ უნდა შეექმნა? მე იქ საქართველოს პრობლემებზე სასაუბროდ წავედი. ვერ ვიტყვი, რომ მე ვარ პირველი, ვინც აგვისტოს ომის შემდეგ მოლაპარაკებების გასამართად მოსკოვში წავიდა. ასეც რომ იყოს, ეგ არაფერს ნიშნავს. მე პირველობაზე პრეტენზიები არ მაქვს. ჩემთვის მთავარია შედეგი.

***— ოპონენტები ყოველთვის პრორუსულად მოგიხსენიებდნენ, ამ ვოიაჟის შემდეგ კი ამბობენ, აი, ხომ გამოჩნდა, ვისი კაცია მეჭიაურიო.***

— მეჭიაური არავისი კაცი არ არის. რაც შეეხება მოსკოვში წასვლას, არასდროს დამიმალავს, რომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგების მომხრე ვარ. ამის მიუხედავად, თავს სულაც არ მივიჩნევ პრორუსულ ადამიანად. იმათ, ვინც ამას მაბრალებს, მინდა ვურჩიო, რომ ყველამ თავის ამერიკელ ნატო მამიდას მიხედოს.

***— ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ თქვენ მოსკოვში იმიტომ წახვედით, პარტიისთვის „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველო“ თანხები მოგეძიათ. მართლა ფულის საშოვნელად იყავით წასული?***

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. მოსკოვიდან არანაირი ფული არ წამომიღია. ეს ჩემმა ოპონენტებმა მოიგონეს. მათვე დაიწყეს ქილიკი იმის შესახებ, მეჭიაურმა რკინის ქალამნები ჩაიცვა და მოსკოვში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად წავიდაო.

ამ ცინიკოსებს სოციალური ქსელით ვუპასუხე. იმავეს გავიმეორებ თქვენი გაზეთიდანაც. მინდა, ამ ხალხს ვკითხო, ერდოღანმა რისი ქალამნები ჩაიცვა, პუტინს რომ ბოდიში მოუხადა? ერდოღანი უზარმაზარი ქვეყნის პრეზიდენტია,





მე ერთი პარტიის ხელმძღვანელი ვარ მხოლოდ. მან თუ იმ ყველაფრის შემდეგ პუტინს დაურეკა, მე რატომ არ უნდა შევხვედროდი რუს კოლეგებს!

დიდი სახელმწიფოების პირველ პირებს არ ეთაკილებათ, რუსეთს დაელაპარაკონ პრობლემების მოგვარებაზე. რატომ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვენნაირი პატარა ქვეყანა მოსკოვთან ცდილობს ურთიერთობის მოგვარებას. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების გასაღები სწორედ რუსეთშია. აქედან გამომდინარე, მითხარით, რატომ არ უნდა დაველაპარაკოთ მათ. უნდა დაველაპარაკოთ კიდევაც და, თუ საჭიროება მოითხოვს, მათი ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ.

***— რუსეთის ინტერესების გათვალისწინებაში რას გულისხმობთ? მათ შესაძლოა ისეთი რამეები მოითხოვონ, რომელთა შესრულებაც ქვეყნისთვის საზიანო იქნება.***

— ჩვენ რუსეთის ინტერესები ისე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამით საკუთარი არ დავაზიანოთ.

***— ახლა გადავიდეთ შეხვედრებზე. რაზე ესაუბრეთ თქვენს რუს კოლეგებს?***

— ვისაუბრეთ კონფლიქტების მოგვარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. მე ვესაუბრე რუს კოლეგებს იმის შესახებ, თუ რისი დათმობა შეგვიძლია დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ. ჩვენ ისეთი რაღაც უნდა დავთმოთ, რაც მოსკოვის ინტერესებში შედის.

***— რა შედის დღეს ყველაზე მეტად რუსეთის ინტერესებში?***

— დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ ჩვენ ნატოში შესვლასა და მისი ჯარების აქ განთავსებაზე უარი უნდა ვთქვათ. რუსეთი ნატოს გაფართოებას მტრულ ნაბიჯად და საფრთხედ განიხილავს.

***— ნატოზე უარის თქმა რუსმა დეპუტატებმა მოითხოვეს?***

— დეპუტატებს ჩვენთვის არაფერი მოუთხოვიათ. ჩვენ ჩვენი სათქმელი ვუთხარით მხოლოდ. ნატოს რომ საფრთხედ განიხილავენ, ამას არც მალავენ და რა გასაკვირია, რომ არ სურთ იქ ჩვენი შესვლა.

მოსკოვში ყოფნისას ერთ ძალიან საინტერესო ამბავს შევესწარი. რამდენიმე დღის წინ რუსი დეპუტატების ჯგუფმა ქართულ ღვინოსა და მინერალურ სასმელებზე სანქციების დაწესება მოითხოვა. მათი რადიკალიზმის მიზეზი ქართული მხარის გადაწყვეტილება იყო. წინა კვირაში ჩვენ ევროკავშირის მიერ ყირიმისა და სევასტოპოლისთვის დაწესებულ სანქციებს შევუერთდით. ამ სანქციებისთვის მხარის დაჭერა ჩვენი მხრიდან არ იყო სწორი გადაწყვეტილება.

***— რატომ არ იყო სწორი გადაწყვეტილება?***

— იმიტომ, რომ ჩვენ ყირიმთან არანაირი ეკონომიკური ურთიერთობები არ გვაქვს. აქედან გამომდინარე, სანქციების დაწესებით რუსეთს ვერ დავაზარალებდით. ამ სანქციებს მხოლოდ იმიტომ შევუერთდით, რომ დასავლეთისთვის გვესიამოვნებინა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებისთვის მთავარია, დასავლეთს მოაწონოს თავი და იმაზე აღარავინ ფიქრობს, რომ ამით შესაძლოა ჩვენი მოქალაქეები დაზარალდნენ. რუსეთს ჩვენთვის საპასუხო სანქციები რომ დაეწესებინა, ჩვენი მევენახეები ძალიან ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ.

***— ზემოთ თქვით, რომ ყირიმისთვის დაწესებული სანქციებით რუსეთს ვერ დავაზარალებდით და თუ ასეა, რატომ მოითხოვეს საპასუხო სანქციები?***

— სწორედ საპასუხოდ მოითხოვეს ამ სანქციების შემოღება. ეს გადაწყვეტილება რომ მიეღოთ, საქართველო კატასტროფის წინაშე დადგებოდა. დღეისთვის დუმაში არდადეგებია და დეპუტატები შვებულებაში არიან. საკითხი შემოდგომამდე ვერ გადაწყდებოდა. საბოლოო პასუხის მიღებამდე ღვინის ქარხნები უარს იტყოდნენ ყურძნის მიღებაზე. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ კახელი გლეხები და არა მხოლოდ ისინი.

მიკვირს, რატომ იღებს ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ მისი მოქალაქეების წინააღმდეგ არის მიმართული.

ამ საქმეში სერიოზული დახმარება გაგვიწია სენატორმა იგორ მოროზოვმა. ის სასწრაფოდ დაუკავშირდა შვებულებაში მყოფ თავის კოლეგებს, მათ შორის ქვედა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვს. მან მყისიერად გააკეთა განცხადება და თქვა, რომ ყირიმისთვის სანქციების მხარდაჭერის სანაცვლოდ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხარს არ დაუჭერენ.

***— სანქციების დაწესებაზე უარი რით ახსნა?***

— პუშკოვის თქმით, სანქციების დაწესების შემთხვევაში ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება საფრთხის ქვეშ დადგებოდა.

# ლიბერთი ბანკმა ქუთაისში განახლებული რეგიონული ფილიალი გახსნა



**ლიბერთი ბანკმა ქუთაისში განახლებული რეგიონული ფილიალი გახსნა. ახალი ფილიალი ყოველთვიურად 15.000-ზე მეტ მომხმარებელს სრული საბანკო სერვისით მოემსახურება.**

ბანკში განთავსებულია ასევე ბანკომატები და სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, რომელთა გამოყენებით მომხმარებელს ოპერატორთან ვიზიტის გარეშე შეუძლია საბანკო მომსახურების მიღება — სესხის აღება, სესხის დაფარვა, ანგარიშზე თანხის შეტანა, ფულადი გზავნილის გაგზავნა, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა.

რეგიონული ფილიალის გარდა, ლიბერთი ბანკი ქ. ქუთაისში 13 სერვისცენტრითაა წარმოდგენილი.

საქართველოს მასშტაბით, ლიბერთი ბანკს მომსახურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს, რომელიც 660-ზე მეტ მომსახურების წერტილს აერთიანებს.

ლიბერთი ბანკი მომხმარებელს მომსახურების სხვადასხვა არხს სთავაზობს, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელს საბანკო მომსახურების მიღება ბანკში მიუსვლელადაც შეუძლია, რაც საბანკო მომსახურებას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის.



ამჟამად ლიბერთი ბანკი 1.5 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

# კვირიკაშვილის მეუღლე უმუშევარია

## სად არიან დასაქმებული მინისტრების ოჯახის წევრები

**საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრის, 3 სახელმწიფო მინისტრისა და 16 მინისტრისაგან შედგება.**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოიკვლია, თუ რა საქმიანობას ეწევიან ქართველი მინისტრების ოჯახის წევრები და რამდენს შეადგენს მათი ფინანსური შემოსავლები.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მეუღლე მაია ცინაძე უმუშევარია. ოჯახის სხვა წევრებიდან კი მხოლოდ მისი უფროსი ქალიშვილი ანა კვირიკაშვილია დასაქმებული — იგი სარეკლამო სტუდია მეტროგრაფის გრაფიკული დიზაინერია და 2015 წელს ხელფასის სახით 8.400 ლარი აქვს მიღებული.



კერძო სექტორშია დასაქმებული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის მეუღლე ნატალია თევდორაშვილიც. იგი შპს მიტარბი 2010-ს კონსულტანტია, სადაც წლიური სახელფასო შემოსავალი მხოლოდ 1.875 ლარი აქვს.

მეორე ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის მეუღლე ანა არეშიძე სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. იგი შპს ანოუკის დირექტორი და 100% წილის მფლობელია. მინისტრის ბოლო დეკლარაციის მიხედვით, მის მეუღლეს 2015 წლის განმავლობაში რაიმე შემოსავალი არ მიუღია, თუმცა დანაზოგის სახით 23.000 ლარის ოდენობით ნაღდი ფული აქვს.

უცხოური საწარმოს ფრაისვოთერჰაუსკუპერის ფილიალში მენეჯერის პოზიციაზე საქმიანობს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის მეუღლე ნინო ეგრისელაშვილი, რომლის შემოსავალმა გასული წელს 60.365 ლარი შეადგინა.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარის მეუღლე თამარ ყუბანეიშვილი მედია-სექტორში საქმიანობს. იგი ა(ა)იპ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტში მედია-პროექტების მენეჯერია, ხოლო ტელეკომპანია ჯიდიესში — გადაცემა „59 წამის“ პროდიუსერი. 2015 წელს მან საერთო ჯამში ხელფასის სახით 26.698 ლარი მიიღო.

სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელიას მეუღლე მერი ჩიქობავა 2014 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის კადრების სამმართველოში მუშაობს. მანამდე იგი ბანკი რესპუბლიკას სატელეფონო კონსულტანტი იყო. მინისტრის მეუღლის სახელფასო შემოსავალი გასული წლის განმავლობაში 14.585 ლარი იყო.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ნოდარ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნაციონალებიდან მთაწმინდაზე კენჭს ნიკა რურუა იყრის

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურმა მოძრაობამ პირობა დადო, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის სიას საფუძვლიანად განაახლებდა. ნაციონალებმა ეს დანაპირები პირნათლად ვერ შეასრულეს, სამაგიეროდ, პარტიის ლოგო შეცვალეს და იმედი აქვთ, რომ ეს ლოგო წარმატების მომტანი იქნება.

დიდი მცდელობის მიუხედავად, პარტიის საარჩევნო სიაში მოძველებული და ცოტა ხნით გაუჩინარებული სახეები მოხვდნენ.

მართალია, ნაციონალების საარჩევნო სიაში არ მოხვედრილა, მაგრამ მათი სახელით მაჟორიტარად კენჭისყრას აპირებს კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა. ის მთაწმინდაზე უნდა იყოს ნაციონალების ფალავანი.

ამ ინფორმაციას არც ნაციონალები და არც ნიკა რურუა არ უარყოფენ, თუმცა არც ადასტურებენ, ამბობენ, რომ მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

თავიდან ითქვა, რომ რურუა და მისი ორგანიზაცია „ივერია“ პაატა ბურჭულაძესთან გაერთიანდებოდნენ. ამ ორგანიზაციის წევრები ბურჭულაძის გარშემო ხშირად იყრიდნენ თავს. დიდი ფიქრის შემდეგ, ეტყობა, ბოლოს ისევ ნაცმოძრაობა არჩიეს.

ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიმე რაიონში უკვე წარადგინა მაჟორიტარობის კანდიდატები. პარტიაში ამბობენ, რომ ეს პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება.

მაჟორიტარების წარდგენის საქმეში ისინი ყველა პარტიას უსწრებენ. ისინი საარჩევნო სიის ფორმირების მხრივაც ლიდერები არიან. ამ დღეები მათ სიის ორმოცდაათეული წარმოადგინეს. ეს იმ დროს, როცა „ქართულ ოცნებას“ პირველი ათეულიც კი არ ჰყავს შერჩეული.

ყოფილმა ხელისუფლებამ პარტიის ლოგო შეცვალა



საარჩევნო სიას დავით ბაქრაძე ლიდერობს. ყოფილი ხელისუფლების პირველი ათეული ასე გამოიყურება: 1. დავით ბაქრაძე; 2. ელენე ხოშტარია (წარდგენილია ვაკის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარად); 3. რომან გოცირიძე; 4. ნიკანორ მელია (საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი); 5. გიორგი ტუღუში; 6. ოთო კახიძე; 7. სალომე სამადაშვილი; 8. ირაკლი აბესაძე (კრწანისი); 9. სერგი კაპანაძე და 10. სერგო რატიანი (გლდანი).

სიის მეორე ათეულს „ქართული ოცნების“ საერთაშორისო რისხვა გიორგი კანდელაკი მეთაურობს. ამავე ათეულშია ნაციონალების გებელსად წოდებული გიგა ბოკერიაც.

მეორე ათეული ასე გამოიყურება: 11. გიორგი კანდელაკი; 12. ლელა ქებურია;

13. აკაკი ბობოხიძე; 14. გიგა ბოკერია; 15. თენგიზ გუნავა; 16. ირმა ნადირაშვილი; 17. მამუკა ჩიქოვანი (რუსთავი); 18. თინათინ ბოკუჩავა; 19. გიორგი თევდორაძე და 20. ზურაბ ჭიაბერაშვილი (საგარეჯო).

მესამე ათეულში მაჟორიტარად წარდგენილი რამდენიმე კანდიდატი და ძველი სახე მოხვდა. ეს ათეული ასე გამოიყურება: 21. ლაშა დამენია; 22. ხათუნა გოგორიშვილი; 23. ნიკოლოზ ნაყოფია; 24. ზაზა კედელაშვილი; 25. აზერ სულეიმანოვი (მარნეული); 26. გიგი წერეთელი; 27. გიორგი ღვინიაშვილი (გურჯაანი); 28. ნინო კალანდაძე; 29. ომარ მეგრელიძე და 30. არსენ კარაპეტიანი (ახალქალაქი-ნინოწმინდა).

ძველი სახეები მეოთხე ათეულშიც მოხვდნენ. ამ ათეულს მიშა მაჭავარიანი უდგას სათავეში და მას პირობითად მისი სახელი შეიძლება ვუწოდოთ. ეს ათეული იმითაც არის გამორჩეული, რომ იქ ყველაზე ცნობილი ქართველი ზონდერი ბადრი ბასიშვილიც შეიყვანეს.

მაჭავარიანის ათეული ასე გამოიყურება: 31. მიხეილ მაჭავარიანი; 32. ბადრი ბასიშვილი (გორი); 33. ზურაბ ჩილინგარაშვილი; 34. ეკატერინე ხერხეულიძე; 35. ლევან თარხნიშვილი; 36. დიმიტრი ძაგნიძე; 37. დავით გოგოხია; 38. ლევან კონჯარია; 39. მამუკა საღარეიშვილი და 40. სოფიო სიუკაევა.

შედარებით უცხო სახეებით არის დაკომპლექტებული მეხუთე ათეული. აქ ყველაზე ცნობილი სახე დავით დარჩიაშვილია. საინტერესოა ისიც, რომ ამ ათეულში მოხვდა ბესო კვიციანი, რომელიც კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის ბიძაშვილია. ბესო კვიციანი ნაციონალებს 10 წლის წინ დაუმეგობრდა.

მეხუთე ათეული ასე გამოიყურება: 41. ნინო კვიტაიშვილი; 42. დავით დარჩიაშვილი; 43. ხათუნა ბერძენიშვილი; 44. ლალი რამინაშვილი; 45. ბესიკ კვიციანი (ისანი); 46. ბესიკ წერედიანი; 47. კონსტანტინე მიქელაძე; 48. ზვიად დუშმანაშვილი; 49. გევორქ შუშანიანი და 50. თამარ დალაქიშვილი.

ყოფილმა ხელისუფლებამ სიის მეექვსე ათეულის ფორმირებაც ცადა. თუმცა მხოლოდ 6 კაცი მონახა. მეექვსე ათეულის შვიდიანი ასე გამოიყურება: 51. ოთარ სირაძე; 52. ლაშა იმერლიშვილი; 53. ვიტალი გოგუაძე; 54. ნატალია ბაბუხადია;

55. როინ მახარობლიძე (ხაშური); 56. ბაკურ მგელაძე და 57. ლევან ბაღაშვილი.

57 კაცში ვერ მოხვდნენ ისეთი ცნობილი ნაციონალები, როგორებიც არიან ნუგზარ წიკლაური, აკო მინაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი.

ცისკარიშვილი და ბეჟაშვილი მაჟორიტარებად არიან წარდგენილი. შესაძლოა, ამ მხრივ ბედმა წიკლაურსა და მინაშვილსაც გაუღიმოს.

# აფხაზეთში კრიზისი გრძელდება

მარიამ მჭედლიშვილი

**10 ივლისის ჩავარდნილი რეფერენდუმის შემდეგ ექსპერტების ნაწილმა ივარაუდა, რომ აფხაზეთში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბებოდა. მათი აზრით, იმ რეფერენდუმის ჩაუტარებლობა, რომელსაც უნდა გაერკვია, უნდა თუ არა ხალხს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, გააღრმავებს არსებულ კრიზისს.**

**ანექსირებულ აფხაზეთში სიტუაცია მართლაც რთულია. ბოლო ორი დღის განმავლობაში ოპოზიცია და დე ფაქტო პრეზიდენტი ურთიერთბრალდებებით იყვნენ დაკავებული.**

ხაჯიმბას ყველაზე რადიკალური ოპოზიცია, პარტია ამცახარა გამოვიდა სახალხო შეკრების ინიციატივით. ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ესაა ერთადერთი გამოსავალი ღრმა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კრიზისიდან.

ოპოზიციური პარტია, რომელიც ხაჯიმბას გადადგომას დიდი ხანია მოითხოვს, ამჯერად პრეზიდენტს ადანაშაულებს იმაში, რომ იგი უარს ამბობს დიალოგზე ოპოზიციასთან. ოპონენტების თქმით, ხაჯიმბას მიერ აღებული კურსი მეტ განხეთქილებას შეიტანს საზოგადოებაში.



პრეზიდენტი და ოპოზიცია ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ არასწორი დასკვნები გამოიტანა 10 ივლისის რეფერენდუმიდან. ის აღიქვამს არშემდგარი პლებისციტის შედეგებს საკუთარ გამარჯვებად პოლიტიკურ ოპონენტებზე. მისი მიზანია, პროვოკაციების გზით საბოლოოდ განიმტკიცოს პოზიციები, – აღნიშნულია ამცახარას განცხადებაში.

ამცახარას თავის ინტერვიუში პრეზიდენტის პრესსამსახური და თავად პრეზიდენტი გამოეხმაურნენ.

პრესსამსახურის შეფასებით, ოპოზიცია განზრახ ან უცოდინრობით უგულებელყოფს პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრის შესაძლებლობას და მიმართავს უსაფუძვლო ბრალდებებსა და დესტაბილიზაციის მცდელობას.

ამ განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია ოპოზიციაში. ამცახარამ ჩათვალა, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტი სავსეა პროვოკაციული შეფასებებით და ის არ შეიცავს კონკრეტულ და რაციონალურ წინადადებებს.

ამცახარას აზრით, პრეზიდენტის პრესსამსახური ან საერთოდ არ მუშაობს პრეზიდენტთან და არაა მისი საქმიანობის კურსში, ან ის ხელმძღვანელობს ხაჯიმბას ოპოზიციონერობის დროინდელი რიტორიკით.

შექმნილ სიტუაციას თავის ინტერვიუში შეეხო რაულ ხაჯიმბაც. მისი სიტყვებით, ხელისუფლება მზადაა ოპოზიციასთან დიალოგისთვის, მაგრამ ოპოზიციონერები უარს ამბობენ მოლაპარაკებებზე და დაკავებული არიან აბსურდული განცხადებების გამოქვეყნებით.

ხაჯიმბამ სხვა თემებზეც ისაუბრა. მისი აზრით, აფხაზეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჟენევის დისკუსიებს, ვინაიდან, სანამ ეს დისკუსიები ტარდება, კავკასიაში ომი არ იქნება.

ანექსირებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა:

– აფხაზეთი აღიარებული ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ ცოტა საელჩო და წარმომადგენლობა გვაქვს საზღვარგარეთ. ჟენევის მოედანი ამის მისაღწევად კარგი საშუალებაა. იქ ვხვდებით ისეთ აქტორებს, როგორებიც არიან ევროკავშირი, გაერო, ეუთო, რუსეთი და აშშ.

როგორც ჩანს, ხაჯიმბას საკუთარი სავარძლის ურყეობაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა მიმდინარე მოვლენები ადასტურებს, რომ მისი პოზიციები არც ისე ძლიერია.

# ლინკოლნ მიტჩელი: „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ერთ დონეზე არიან“

## „უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სააკაშვილის ჯერ კიდევ სჯერათ“



უკრაინულმა გამოცემა „ობოზრევატელი“ („მიმომხილველი“) აქვეყნებს კიევში, „უკრაინის მომავლის ინსტიტუტში“ ამერიკელი პოლიტტექნოლოგის ლინკოლნ მიტჩელის შეხვედრის ამსახველ მასალას, რომელიც ინტერვიუს სახითაა გადმოცემული.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან.

***– რას უნდა ველოდოთ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს?***

– მე ახლახან დავბრუნდი ბათუმიდან, სადაც კონფერენციაში ვმონაწილეობდი და აი, რა შევნიშნე: ქართველები საკუთარ არჩევნებზე უფრო მეტად აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებით არიან დაინტერესებულნი და ეს გასაგებიცაა – მათ ამერიკული დემოკრატიის პერსპექტივა აინტერესებთ(...). საქართველოში არჩევნებამდე სამი თვით ადრე საერთო კლიმატი უფრო მშვიდია, ვიდრე ოთხი წლის წინ.

წინასაარჩევნო კამპანიების დროს ძალადობის პრეცედენტები იყო. ამის გათვალისწინებით, ყოველთვის არის იმის საფრთხე, რომ მთავრობა მის ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსებით ისარგებლებს საარჩევნო პროცესს გავლენის მოსახდენად.

მე არ ვამბობ, რომ ეს ახლა ხდება, თუმცა საფრთხე ყოველთვის რჩება. ვფიქრობ, საქართველოში დღეს ისეთი საარჩევნო ატმოსფერო არ არის, როგორიც ამჟამად აშშ-შია. საქართველოში არ არიან ამა თუ იმ პარტიის მტკიცე მხარდამჭერები, თავიანთ პოზიციაში დარწმუნებულები, თაყვანისმცემლები, რომლებიც ამბობენ – „ამ არჩევნებზე ქვეყნის მომავალია დამოკიდებულიო“, ანუ ისეთი სიტუაციაა არაა, როგორც, ვთქვათ, 2012 წელს იყო. საქართველოში არჩევნები ჯერ კიდევ პიროვნებების, პარტიების ირგვლივ კონცენტრირდება და არა – მისიებისა და იდეოლოგიების ირგვლივ.

დღეს ბევრი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი მოწმობს, რომ პარტია „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, პრაქტიკულად, თითქმის ერთნაირ დონეზე იმყოფებიან, მაგრამ, ამერიკული არჩევნებისგან განსხვავებით, ქართველების რაოდენობა, რომლებიც მხარს ორ ძირითად პარტიას უჭერენ, მხოლოდ 30-40% თუ იქნება. დანარჩენები ან სხვა უფრო წვრილ პარტიებს ემხრობიან, ან ჯერაც ვერ გაურკვევიათ, ვის მისცენ ხმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში შეიძლება ნამდვილად მრავალპარტიული სისტემა მივიღოთ.

„ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც პროდასავლური პარტიები არიან, დანარჩენები კი – უფრო სოციალურად კონსერვატიულები. სავარაუდოდ, „ქართული ოცნება“ თავის პოზიციებს განიმტკიცებს და კომპაქტურ უმრავლესობას ჩამოაყალიბებს. მეორე ვარიანტით – პირველად საქართველოს ისტორიაში, მთავრობა კოალიციური შეიძლება იყოს.

***– რა არის იმის მიზეზი, რომ უკრაინაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები არასწორად აღიქმება? უკრაინელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოში ბოლო ხანს მომხდარი სამთავრობო ცვლილებების შემდეგ ეს ქვეყანა უფრო პრორუსული გახდა. თქვენ არაერთხელ დაგიწერიათ, რომ ეს ასე არ არის.***

– ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ქვეყნის პროდასავლური მოძრაობა დააჩქარა. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს უფრო მეტი მანძილი აქვს გავლილი, ვიდრე უკრაინას. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში მიმდინარე პროცესებს უკრაინაში ხშირად მართლაც არასწორად აღიქვამენ. რატომ? იმიტომ, რომ უკრაინა მსოფლიოში ერთადერთი და ბოლო ქვეყანაა, სადაც მიხეილ სააკაშვილის პროპაგანდისა ჯერ კიდევ სჯერათ. მე ეს საკითხი ძალიან მაშფოთებს, რადგან მიმაჩნია, რომ კიევი ძალიან ბევრს მოიგებდა უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობით.

# ინტერპოლმა თემურ ბასილია ძებნილთა სიიდან ამოიღო

ინტერპოლმა ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია ძებნილთა სიიდან ამოიღო. აღნიშნული ინფორმაცია ტელეკომპანია „იბერიას“ თავად თემურ ბასილიამ ვაშინგტონიდან ჩართვისას დაუდასტურა.



**თემურ ბასილია:**

– რამდენიმე თვის წინ ოფიციალურად მივიღე შეტყობინება ინტერპოლის ცენტრალური ოფისიდან, საფრანგეთიდან, რომ ჩემზე ძებნა შეწყდა. როგორც კი აშშ-ში პოლიტიკური დევნილის სტატუსი მივიღე, ამერიკელი იურისტის მეშვეობით მივმართე ინტერპოლის ცენტრალურ ოფისს საფრანგეთში. იყო საკმაოდ სერიოზული მიწერ-მოწერა, საკითხის შესწავლა.

2012 წლის დეკემბერში მივიღეთ ინტერპოლიდან ოფიციალური წერილი. სამწუხაროდ. იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგი წავიდა, მათ არაფრის გაკეთება შეეძლოთ. ერთადერთი შეეძლოთ უსაფრთხო საერთაშორისო მოგზაურობის უზრუნველყოფა. შემომთავაზეს რაღაც ვარიანტები, რაზეც მე თანხმობა მივეცი.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იყო ასეთი კურიოზული სიტუაცია, რომ მე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ვიყავი ინტერპოლის არხებით ძებნილი, თუმცა, ამავე დროს, ინტერპოლის ცენტრალურ ოფისს გაცემული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ საზღვრის გადაკვეთის მომენტში ჩემი დაკავება არ მომხდარიყო.

ბასილიას ინფორმაციით, ინტერპოლის ძებნილთა სიიდან ზურაბ ადეიშვილის ამოღების შემდეგ, თემურ ბასილიამ და მისმა ამერიკელმა იურისტმა ინტერპოლის ცენტრალურ ოფისს მიმართეს და დაინტერესდნენ, რაში იყო საქმე და რატომ არ ხდებოდა მისი ამოღება ძებნილთა სიიდან.

– როგორც ჩანს, ამას გარკვეული რეაგირება მოჰყვა და როგორც საფრანგეთიდან, ინტერპოლის ცენტრალური ოფისიდან, ასევე საქართველოს პროკურატურიდან ოფიციალურად მაცნობეს, რომ ინტერპოლის არხებით ძებნა შეწყდა, – აღნიშნა თემურ ბასილიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნების“ ძრავა ისევ ივანიშვილია“

**ნათია ხურცილავა**

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ გამწევი ძალა 8 ოქტომბრის არჩევნებზე ისევ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორია.

***– ბატონო სოსო, 8 ოქტომბრის არჩევნებზე რამე მოულოდნელობას უნდა ველოდოთ თუ მმართველი პარტია კვლავ გაიმარჯვებს?***

– „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. მის ხელში დიდი რესურსებია. იმარჯვებს ის, ვისაც მეტი რესურსი აქვს. პირველ ადგილზე ფინანსური რესურსი იგულისხმება. 2012 წლის არჩევნებმა ძალზე გააძვირა წინასაარჩევნო კამპანია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოში 3.500 საარჩევნო უბანია. ნებისმიერ პარტიას სჭირდება თითო უბანზე 2-3 დამკვირვებელი. ეს ფული ღირს. დღეს დიდი ფული მხოლოდ მმართველ პარტიას აქვს. ახალი ივანიშვილი ოპოზიციაში არ არის.

***– შემდეგი მოწვევის პარლამენტი უკეთესი შეიძლება იყოს?***

– შეიძლება, ოდნავ უკეთესი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ კვაზი კოალიცია აღარ იქნება, მაგრამ „ოცნება“ ბოლომდე პრინციპული ვერ გამოდგა.

***– რატომ?***

– მათ ამომრჩეველს უთხრეს, რომ მარტო გაივიდოდნენ არჩევნებზე, ისევე, როგორც კოალიციის დანარჩენი სუბიექტები. დღეს ვხედავთ, რომ კონსერვატორები, სოციალ-დემოკრატები, მართალია, ერთი-ორი კაცით, მაგრამ მაინც არიან „ოცნებასთან“. ეს არის ნასუფრალი, რომელზეც ისინი წავიდნენ.

***– რატომ ერგოთ მათ და არა, მაგალითად, რესპუბლიკელებს ან სხვებს?***

– რესპუბლიკელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ არაერთგვაროვანი პოზიციებია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არჩევნებზე





დამოუკიდებლად ვერ იმარჯვებენ, პრინციპული ხალხია. მათი პრინციპული მიდგომები ხშირად არ ემთხვევა საზოგადოების, ამომრჩევლის ხედვებს, მაგრამ მათ აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეოლოგია, პოზიციები, ხედვები და მის წინააღმდეგ არასდროს მიდიან. ეს კარგია და დასაფასებელია. ისინი ამ პრინციპს არ ღალატობენ.

4 წელი „ოცნებამ“ როგორ აიტანა რესპუბლიკელები, ესეც გასაკვირია, რადგან რესპუბლიკელები ხორკლიანი პარტნიორები არიან. მათთვის დათმობა, კომპრომისზე წასვლა უცხოა. მერწმუნეთ, რესპუბლიკელებსაც შეეძლოთ კონსერვატორებივით, სოციალ-დემოკრატებივით დარჩენილიყვნენ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. ისინი თავიანთი იდეოლოგიის წინააღმდეგ ვერ მიდიან. მე სოციალ-დემოკრატებს ვერც სოციალობა შევატყვე და ვერც – დემოკრატობა. ასევე კონსერვატორებს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩოხა-ახალუხში სიარულის იდეა ჰქონდათ, თუ ეს არის კონსერვატიზმი, ეს უცნაური კონსერვატიზმია, ეს უფრო ანაქრონიზმია.

***– რა შანსები აქვთ ამ არჩევნებზე რესპუბლიკელებს?***

– შეიძლება, ბარიერიც კი ვერ გადალახონ, მაგრამ ამას ისინი, როგორც მშობიარობას, ისე არ განიცდიან.

***– დღეს გამწევი ძალა „ქართული ოცნებისთვის“ ისევ ივანიშვილია?***

– რასაკვირველია, ამაში ორი აზრი არ არსებობს. თავის დროზე ივანიშვილმა ვერ გაბედა, არ ეყო პოლიტიკური ნება, რომ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კოალიცია დაეშალა და ახალი რიგგარეშე არჩევნები დანიშნულიყო. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. „ქართული ოცნება“ უპრობლემოდ აიღებდა აბსოლუტურ უმრავლესობას და მას აღარ დასჭირდებოდა არცერთი პარტია. მარტო ივანიშვილი, ერთი კაცი გაიმარჯვებდა.

დღეს, 4 წლის თავზე, რა მოცემულობა გვაქვს? გვაქვს ის მოცემულობა, რომ კვლავ ივანიშვილია მთავარი ლოკომოტივი. დღეს რომ „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილმა უთხრას, არჩევნების დროს მე კანარის კუნძულებზე მივდივარ დასასვენებლად და, აბა, თქვენ იცით – რა მოხდებოდა? ვერაფერს გახდებიან. ეს იცის ივანიშვილმა და ისევ თავის თავზე იღებს იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოს.

# დერმა ესთეტიკური მედიცინის ღირსეული სახელი




**ესთეტიკური მედიცინის კლინიკა „დერმა“ მომხმარებელს ყოველთვის ხარისხიან სერვისს და ინოვაციურ მომსახურებას სთავაზობს სილამაზის სფეროში. მუდმივი სიახლეები და კმაყოფილი მომხმარებელი — ეს კლინიკის ერთგვარი დევიზია. პროფესიონალთა გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ესთეტიკური მედიცინის კლინიკაში მისული ქალბატონი იქიდან გაახალგაზრდავებული, გალამაზებული და თავდაჯერებული გამოვიდეს. „დერმას“ დირექტორი და დამფუძნებელი სალომე სურგულაძე დეტალურად გვიყვება, თუ რაში მდგომარეობს „დერმას“ წარმატების ფორმულა.**




***— გვიამბეთ თქვენი კომპანიის შესახებ.***

— კლინიკა „დერმა“ 4 წელია, რაც ბაზარზე გამოჩნდა. მიუხედავად დიდი კონკურენციისა, თავის დამკვიდრება არ გაგვჭირვებია. პროფესიით იურისტი გახლავართ და ჩემთვის ბიზნესის მართვა არ არის რთული, თუმცა, როცა ბაზარზე ახალი ბრენდი შემოდის, მისი წინ წაწევა საკმაოდ რთული საქმეა. თუმცა გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ექიმების დამსახურებით ამ ყველაფერს კარგად გავართვით თავი. კონკურენციის პირობებში არაერთი დეტალია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში მომხმარებელს კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული გუნდი, კომფორტული გარემო, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და აპარატურა უნდა შესთავაზო. მათთვის მისაღები ფასებიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ეს ის ნიუანსია, რომელსაც, თუ სწორად არ გაითვალისწინებ, მომხმარებელი შეიძლება დაკარგო.

***— კლინიკა „დერმა“ ამ ბოლო პერიოდში არაერთ მარკეტინგულ აქტივობას ახორციელებს, პროექტი „სილამაზის დღეები „დერმაში“ წარმატებული აღმოჩნდა. მოგვიყევით ამის შესახებ.***

— „სილამაზის დღეები „დერმაში“ ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყვარელი პროექტია, რომლის ძირითადი მიზანია ის, რომ ჩვენს ერთგულ მომხმარებელს, და არა მარტო მათ, გავაცნოთ ჩვენთან მიმდინარე სიახლეები, ამომწურავად გავცეთ პასუხი ხშირად დასმულ კითხვებს. პროექტი მოიცავს ლამაზი გარემოს შექმნას, გათამაშებებს, ალ ა ფურშეტებს, ლამაზ ცეკვებს. ამასთანავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა „დერმას“ ერთგულ მომხმარებელთა კლუბის პრეზენტაცია.

„დერმას“ კლუბის წევრებს საშუალება ექნებათ, თავიანთ გარეგნობაზე სპეციალური ფასდაკლებით ისარგებლონ.

***— თქვენი, როგორც კომპანიის ხელმძღვანელის, ერთი სამუშაო დღე როგორია?***

— მუდმივი საქმე, შეხვედრები. ყოველთვის სადღაც მეჩქარება, სულ გადარბენაზე ვარ. საკუთარ თავს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა დავაკისრე. კლინიკა „დერმაში“ დამფუძნებელი ვარ, დირექტორიც და იურისტიც. იყო დრო, როცა მარკეტინგი და პიარიც ჩემი კომპეტენცია იყო. ახლა ეს სფერო საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა“ აიღო თავის თავზე. ასევე ახალ პროექტს ვიწყებ. იმედი მაქვს, ყველაფერი გამოვა. ეს პროექტი ქველმოქმედებას ეხება, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***— როგორც ვიცით, თქვენს კომპანიაში არაერთი ინოვაციური სერვისი დაინერგა. რას გვეტყოდით ამაზე?***

— დიახ, ჩვენ და ჩვენი ექიმები, რა თქმა უნდა, ყოველთვის სიახლის ძიებაში ვართ. უამრავი სიახლე გვაქვს კოსმეტოლოგიურ განყოფილებაში, რადგან ეს ისეთი სფეროა, სადაც სიახლეების მუდმივ ძიებაში უნდა იყო. გავდივართ კონსულტაციებს უცხოელ კოლეგებთან და ასევე მინდა აღვნიშნო — ჩვენი ექიმები პიონერები არიან ამ სფეროში. ქალბატონი ირინა გორგაძე 15 წელია ამ სფეროში მუშაობს. ავიღოთ თუნდაც კონტურული მაკიაჟი, ის იყო პირველი, ვინც ამ პროცედურაზე დაიწყო მუშაობა. ასევე — ლაზერული ტექნოლოგიები. აქაც პირველები ვართ. ქალბატონი მანანა შალიბაშვილი 15 წელია ლაზეროთერაპევტია. დამეთანხმებით, რომ კვალიფიციური კადრების დეფიციტი ნამდვილად შეიმჩნევა ამ ბაზარზე. ასევე გვაქვს სპა პროცედურები, ავტორუჯი, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივი ფერებით, არავითარი აჭრელება.

ცოტა ხნის წინ სილამაზის სალონი გავხსენით. რა თქმა უნდა, აქაც არ ჩამოვრჩებით სიახლეებს. გვაქვს უახლესი პროდუქტი, რომელიც დაზიანებულ თმას სრულად აღადგენს, ასევე ყველაზე მუქი ფერის თმიდან ქერა თმის მიღება უკვე შესაძლებელია.

***— მოკლედ გაიამბეთ სამომავლო გეგმებზე.***

— სამომავლო გეგმების სია ძალიან დიდია. რისი გამხელაც შემიძლია ამ ეტაპზე, არის ის, რომ უახლოეს მომავალში ფილიალის გახსნას ვგეგმავთ.

# ქართველებს თურქეთში დასვენება აღარ უნდათ



ნონა ცაბაძე

**თურქეთში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოდან თურქეთის კურორტებზე დასვენების მსურველთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო. ტურისტულ კომპანიებში აცხადებენ, რომ თურქეთში შექმნილი ვითარების გამო პირველ დღეებში გაყიდული საგზურების დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა, კომპანიებმა კი გადახდილი თანხა სრულად აანაზღაურეს.**

თურქეთის კურორტებზე მოთხოვნა არც მერე გაზრდილა. როგორც ტურისტული კომპანიები აღნიშნავენ, თურქეთი ეგვიპტემ და საბერძნეთმა ჩაანაცვლა. მოვლენების გამო საგრძნობლად გაიაფდა საგზურებიც. ასევე შემცირებულია მოთხოვნა თურქეთის გავლით ფრენებზეც.

როგორც გამოკითხვის შედეგად გავარკვიეთ, 15 ივლისიდან 20 ივლისამდე ნაყიდი საგზურების უმეტესობა ტურისტების 90%-მა უკან დააბრუნა და მათ თანხები სრულად აუნაზღაურდათ. ვისაც შემდგომი პერიოდისთვის აქვს ნაყიდი საგზურები, ისინიც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან და ფიქრობენ თურქეთის საბერძნეთით ან ეგვიპტით ჩანაცვლებას. საგრძნობლად გაიაფდა საგზურების ღირებულება. ადრე თუ ორკაციანი საგზური 2.000 დოლარამდე ღირდა, ახალ მისი ღირებულება 800-დან 1.000 დოლარამდე მერყეობს.

„ახალი თაობა" ეიჩარ ჯორჯიას წარმომადგენელს, ქალბატონ ჟანას ესაუბრა.

***– თურქეთში განვითარებული მოვლენების გამო რამდენად იკლო ტურისტთა რაოდენობამ თურქეთის კურორტებზე?***

– საგრძნობლად იკლო. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ. ყველას ეშინია, თურქეთის გავლით ფრენაც კი აღარავის უნდა.

***– დაახლოებით რამდენი პროცენტით შემცირდა მგზავრების რაოდენობა?***

– ჯერ ერთი კვირა გავიდა ამ მოვლენებიდან და უკვე 50%-თაა შემცირებული. გასულ კვირას ერთი ტურისტიც კი არ გვყოლია მსურველი თურქეთისკენ. ეს სიტუაცია ძალიან გვაზარალებს. ვისაც ნაყიდი აქვს შემდეგ პერიოდზე, იმასაც კი აღარ უნდა.

***– უკან აბრუნებენ?***

– ბევრი ვერ აბრუნებს. გააჩნია ბილეთს, როგორ აქვს შეძენილი. დაბრუნების შემთხვევაში ან უნდა გადაიხადონ ჯარიმა, თუ არადა, უნდა ისარგებლონ, სხვა გზა არ აქვთ, იმიტომ, რომ ეკარგებათ ფული. თურქეთის ავიახაზები არ იბრუნებს უკან.

***– რატომ არ იბრუნებს?***

– იმიტომ, რომ ახლა ფრენები ჩვეულებრივ რეჟიმში ხორციელდება. მგზავრი თუ გარკვეული მიზეზების გამო უკან იხევს, ეს მისი პრობლემაა. როდესაც იდება რეისი, ისე, როგორც 16-17 ივლისის რეისები გადაიდო, ამ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, 20-მდე რაც რეისი იყო, ყველამ დააბრუნა ბილეთი და თანხებიც აუნაზღაურდათ, მაგრამ, ვისაც 20 რიცხვის მერე ჰქონდა შეძენილი, მათ უკან აღარ დაუბრუნდებათ, რადგან ყველა რეისი აღდგენილია და ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს.

***– სიტუაცია მაინც რთულია. აქედან გამომდინარე, ალბათ, ბევრი მოერიდება წასვლას.***

– კი, ეს თავისთავად. როგორც ერთი პერიოდი კიევის ავიახაზებზე ფრენა არავის უნდოდა, ისე იქნება ახლაც. სავარაუდოდ, ეს სეზონი ჩავარდება. ალბათ, არა მარტო ეს სეზონი, არც კი ვიცით, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი.

***– ეს სიტუაცია რამდენად დაგაზარალებთ?***

– რასაკვირველია, ზარალი იქნება. თუმცა ყველაზე მეტად თურქეთი დაზარალდება. მეც რომ ვიყო და თქვენც, ალბათ, ასე მოვიქცეოდით, თურქეთში დასვენება კი არა, იქ გავლით მოხვედრაც აღარ მოგვინდებოდა.

***– როდესაც ბილეთებს არ იბრუნებთ, ეს მგზავრებში უკმაყოფილებას იწვევს?***

– ამ მხრივ რთული სიტუაციაა. არის შემთხვევები, როდესაც ჩივილამდე მიდის საქმე. ბევრი გვეუბნება, მე ჩემი სიცოცხლე მიყვარს და არ მიღირს იქ წასვლაო. ბევრი ვერ ხვდება, რომ ჩვენს ძალებს აღემატება, რასაც ისინი ითხოვენ. ძალიან რთული სიტუაციაა. დარწმუნებული ვარ, ყველა ტურისტული კომპანია ძალიან რთულ სიტუაციაშია. უმრავლესობა თურქეთის ავიახაზებით სარგებლობს, იმიტომ, რომ კარგი ავიაკომპანიაა, ყოველთვის უსაფრთხო იყო, ძალიან კარგი მომსახურებით და დადგა დღე, როდესაც ეს ყველაფერი არასტაბილურია და ვეღარ სარგებლობს ადამიანი.

◆ ◆ ◆

ტურისტული კომპანია გუდთრეველის წარმომადგენელი სოფო „ახალ თაობასთან" საუბარში აცხადებს, რომ კომპანია ძირითადად ანტალიაზე მუშაობს და, რადგან ამ რეგიონში სიმშვიდე იყო, რეისებიც არ გაუქმებულა.

***– არავინ იყო ისეთი, ვინც უარი თქვა ანტალიაში დასვენებაზე?***

– კი, როგორ არა, დაახლოებით 30%-მა თავისი ინიციატივით გადაიფიქრა და გააუქმა ტურები.

***– უპრობლემოდ იბრუნებთ ბილეთებს?***

– გააჩნია პერიოდს. ზოგადად ტურის გაუქმებასთან დაკავშირებით არის კონკრეტული სანქციები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რაღაც გამონაკლისები იყო, თუნდაც ის, რომ შედარებით ნაკლები ჯარიმის გადახდა მოუხდათ მგზავრებს.

***– არ იკლო ანტალიისკენ დამსვენებელთა რაოდენობამ?***

– მსურველთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა არც კატასტროფულად. დაახლოებით 50%-ით იკლო. დაინტერესებაც ნაკლებია და ტურისტების რაოდენობაც. ყველაზე კარგი პერიოდი ახლაა და, შარშანდელთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა განახევრებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტუაცია ანტალიის რეგიონს არ ეხება, დამსვენებელი მაინც შეშინებულია.

ჯორჯიან თრეველ გრუპს თურქეთის მიმართულებით საკმაოდ ბევრი ტური აქვს გაყიდული და კომპანიაში გასული დღეების განმავლობაში არ წყდებოდა ზარები, რომ კლიენტებს გაყიდული ტურები გაეუქმებინათ. კომპანიის წარმომადგენლობა სიტუაციას საკმაოდ რთულად აფასებს და ფიქრობს, რომ ეს მათზე სერიოზულად აისახება.

ტურისტული კომპანია ფლაი თრეველის ხელმძღვანელი კახა ჯიმშიაშვილი დარწმუნებულია, რომ სამომავლოდ თითქმის ყველა ადამიანი შეიკავებს თავს თურქეთში დასვენებისგან, რადგან შიშის ფაქტორი ძალიან მაღალია.

***– აისახება ეს ყველაფერი ტურისტულ კომპანიებზე?***

– რასაკვირველია. რამდენიმე თვის წინ ასევე თურქეთსა და საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის გამო ჩვენს კომპანიას შემოსავალი საკმაოდ შეუმცირდა. ახლა კი, როდესაც სეზონი დაიწყო და, ასე თუ ისე, გავაქტიურდით, კვლავ ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. ეს ყველაფერი ტურისტულ კომპანიებს სერიოზულ ზარალს მოუტანს.

◆ ◆ ◆

### ინგა გრიგოლია: „ათათურქის აეროპორტში ტერაქტის შემდეგ თურქეთის ჯავშანი გავაუქმე"



ჯერ კიდევ ათათურქის აეროპორტზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ თურქეთის კურორტებზე დასვენება ბევრმა ქართველმა გადაიფიქრა. ჟურნალისტი ინგა გრიგოლია მაშინ საკუთარ ფეისბუქგვერდზე წერდა, რომ არ იცოდა, რა ექნა, გაეუქმებინა თუ არა ჯავშანი თურქეთის მიმართულებით.

„ახალი თაობა" ინგა გრიგოლიას ესაუბრა.

***– ინგა, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, თურქეთში დასვენებას გეგმავდით. რა გადაწყვიტეთ?***

– ტერაქტი რომ მოხდა ათათურქის აეროპორტზე, მე მეორე დღესვე გავაუქმე ჯავშანი. მივდიოდით ექვსნი და ექვსივემ გავაუქმეთ ჯავშანი.

***– კონკრეტულად სად მიდიოდით?***

– თურქეთში მივდიოდით, ანტალიაში და გავაუქმეთ, იმიტომ, რომ კამიკაძეობა იყო ჩემთვის ახლა იქ წასვლა.

***– უპრობლემოდ დაგიბრუნეს თანხა?***

– ექვს კაცზე იყო და მინიმალური ჯარიმის გადახდა მოგვიწია. ექვსივეს ერთად 95 დოლარი გამოგვივიდა. ძალიან მინიმალური იყო, უპრობლემოდ გაუქმდა ყველაფერი.

***– სამეგობრო წრეში ხშირად გსმენიათ, რომ აუქმებენ ტურებს თურქეთის მიმართულებით?***

– ვიცი, რომ ბევრმა გადაიფიქრა წასვლა. თუმცა ჩემი სამი ამხანაგი ახლაც იქ ისვენებს. ასე ვერ იტყვი. უბრალოდ, მე ძალიან დიდ რისკად მომეჩვენა იქ წასვლა. ჩემს მეგობრებს რომ ვეკონტაქტები, მათგან ვიცი, რომ მშვიდად ისვენებენ ანტალიაში და იქ არაფერი ხდება. მე მაინც მიმაჩნია, რომ ასეთი რისკები არ არის საჭირო.

# მიხეილ დუნდუა: „ლარის გამყარებას ველოდები"

გულიკო ბალაძე

20/30-ის წევრი, ეკონომიკური ექსპერტი მიხეილ დუნდუა „ახალ თაობასთან" ლარის კურსის მაჩვენებელსა და დედოლარიზაციის თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებას აფასებს.

***– ბატონო მიხეილ, თქვენ განაცხადეთ, რომ ლარის კურსის დაცემა საგარეო ვალის დაფარვის ბრალია. ვალი ქვეყანას, ალბათ, კიდევ დიდხანს ექნება დასაფარი. გამოდის, ეროვნული ვალუტა მუდმივი ზეწოლის ქვეშ იქნება და ლარს მუდმივად გაუფასურება ელოდება.***

– არა. აქ საუბარია ვალის გადახდის გრაფიკის პიკზე. 2016 წელს გვაქვს ვალის პიკური



დაფარვა. სწორედ ეს ურტყამს ლარს.

***– წელს რატომ იყო ვალის ასეთი პიკური დაფარვა?***

– გრაფიკით ასე უწევდა. ლარის კურსი დასტაბილურებულია 2 და 34-ის მიდამოში. ხაზობრივი მაჩვენებელია ინფლაციის გარეშე.

***– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში, სადაც ინფლაცია დაბალია, კურსის ორმხრივი მერყეობაა, ფინანსური განვითარების ტემპი დაბალია, დოლარიზაციის მაჩვენებელი ასეთი დიდი არ უნდა იყოს. აღნიშნულ განცხადებას როგორ შეაფასებთ?***

– როდესაც ადამიანებს შემოსავალი აქვთ ლარში, ხოლო სესხს დოლარში იღებენ, შემდეგ ეს მათ ურთულებს ვალის მომსახურებას და დაღს ასვამს ქვეყნის ეკონომიკას. ეროვნულმა ბანკმა პირველად გადადგა ნაბიჯები, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ლარში სესხის გაცემას და შეიზღუდოს დოლარში სესხის გაცემა. ბანკები უკვე დაინტერესებული არიან ლარში სესხის გაცემით. ამიტომ თანდათანობით შემცირდება დოლარიზაცია.

***– როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი? კერძო და სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტები დედოლარიზაციას მოიწონებენ, მათთვის მისაღები იქნება დედოლარიზაცია?***



– რა თქმა უნდა. სავალუტო ფონდის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ ამგვარი ნაბიჯები გადაიდგას. ეროვნულმა ბანკმა შეამცირა დარეზერვების ნორმა ლარში, 15%-დან 7%-მდე დასწია, რაც ლარში სესხების გაცემას სტიმულს აძლევს, დოლარში კი 20%-მდე გაზარდა, რომ კომერციულმა ბანკებმა სესხები დოლარში არ გასცენ და ლარის გაუფასურებით არ იყვნენ დაინტერესებული.

მას შემდეგ, რაც გაიზარდა დარეზერვების ნორმა დოლარში, კომერციული ბანკები დაინტერესებული არიან მყარი ლარით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეექმნებათ სერიოზული პრობლემები. ამიტომაც შეიქმნა ორმხრივი ინტერესი – სახელმწიფო და საბანკო ინტერესია, ლარი იყოს მყარი. დღეს კურსი 2 და 34 რომ არის, ეს მნიშვნელოვანწილად გამოხატავს ბანკების დაინტერესებას ლარის გამყარებისთვის.

***– ლარის გაუფასურების შემთხვევაში რა იქნება?***

– ლარის გაუფასურებას არ ველოდები, მაგრამ, ვისაც რა ვალუტაში აქვს შემოსავალი, იმ ვალუტაში უნდა აიღოს სესხი. თუ ვინმეს ლარში აქვს შემოსავალი, სესხიც დოლარში აიღოს, თუ ევროში აქვს შემოსავალი, ევროში უნდა აიღოს სესხი და თუ ლარში – ლარში აიღოს. კომერციული ბანკები ასე უნდა აწვდიდნენ სესხს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ეს პროცესი დაწყებულია. სხვა შემთხვევაში ბანკები თვითონ აღმოჩნდებიან ცუდ ვითარებაში, რადგან დარეზერვების ნორმა გაზრდილია და ყოველი მილიონი დოლარიდან, რომელსაც სესხად გასცემენ, 200 ათასი დოლარი უნდა დაარეზერვონ ეროვნულ ბანკში.

***– საქართველოში რამდენ პროცენტს აქვს დოლარში შემოსავალი?***

– ძალიან ცოტას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სესხები იყოს აღებული ეროვნულ ვალუტაში. შეიქმნა ისეთი მოცემულობა და პირობები, რომ უკვე ლარში სესხების აღება იყოს ხელსაყრელი.

***– ეროვნული ბანკის ახლანდელ პრეზიდენტს სწორი სტრატეგია აქვს არჩეული ლართან დაკავშირებით?***

– დიახ.

***– მომავალში რას ელოდებით?***

– ლარის გამყარებასა და ეკონომიკის ზრდას. წელს ეკონომიკის მესამედზე მეტი ვალის სახით გვაქვს გადასახდელი. წელს ვამთავრებთ წინა ხელისუფლების მიერ აღებული ვალების გასტუმრების ძალიან დიდ პერიოდს, უგზო-უკვლოდ აღებული ვალების გასტუმრებას.

***– უგზო-უკვლოდ რატომ?***

– იმიტომ, რომ ეკონომიკის განვითარებას არ მოხმარდა, მოხმარდა ფასადურ, არაფრისმთქმელ ვითომ მშენებლობას, რამაც ქვეყანა გაკოტრების პირას მიიყვანა. 4 წელია, ვალებს ვიხდით და თან მოვახერხეთ, ეკონომიკა ჩიხში არ შესულიყო. ვალის დაფარვის მაჩვენებელი 35%-ია და ეკონომიკა მაინც იზრდება. შემდგომ წლებში, როცა ქვეყანას ეს ტვირთი არ ექნება, ქვეყნის ეკონომიკა გაცილებით მაღალი ტემპით გაიზრდება, ვალზე კი არა, ინვესტიციებზე იქნება დამოკიდებული.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რას მოუტანს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში

სოსო ზაალიშვილი

21 ივლისს კლივლენდში, ოჰაიოს შტატში, ამერიკის რესპუბლიკური პარტიის შეკრება გაიმართა. პარტიის მიერ არჩეულმა დელეგატებმა პრეზიდენტობის კანდიდატად მილიარდერი დონალდ ტრამპი აირჩიეს. ტრამპს მხარი დელეგატთა უმრავლესობამ დაუჭირა. ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილია ინდიანის შტატის გუბერნატორი მაიკ პენსი.

საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში საქართველო-აშშ-ის ურთიერთობა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს, კლინტონის გაპრეზიდენტება კი კურსის მხოლოდ კორექციას მოითხოვს.

ფაქტია, რომ რა არჩევანიც უნდა გააკეთოს ამერიკელმა ერმა საპრეზიდენტო არჩევნებზე, კონგრესისა და სენატის არჩევნებზე, რომელიც ასევე 7 ნოემბერს შედგება, საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატაში რესპუბლიკელ-კონსერვატორთა რაოდენობა გაიზრდება.

ამას არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს.

ამერიკელ კანონმდებელთა რიგში კონსერვატორული წრეების წარმომადგენლების მატება საგარეო კურსის კიდევ უფრო პოლარიზებას გამოიწვევს. იზოლაციონისტური და რადიკალური წრეების პოზიცია ზოგ საკითხში, მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლაში, ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა განსხვავებულია ნატოსთან და მსოფლიო უსაფრთხოებისადმი მათი მიდგომა.

ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ გაუადვილდება მუშაობა ამერიკაში.

იმისთვის, რომ ესაუბრო, მაგალითად, ახალგაზრდა გავლენიან სენატორ ფლორიდიდან მარკო რუბიოს, უნდა იცოდე, რომ ის რუსეთზე ზეწოლის გაძლიერების მომხრეა.



სენატორი ტექსასიდან ტედ კრუზი კი რესპუბლიკელთა კონსერვატორული ფრთის წარმომადგენელია. ის ამერიკაში ქრისტიანული ღირებულებების დამცველად მიიჩნევა.

კრუზი ის კანონმდებელია, რომელმაც ტექსასელ ჩინოვნიკებს მოუწოდა, არ დაარეგისტრირონ ჰომოსექსუალური ქორწინებები, მიუხედავად აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა. მან არგუმენტად კონსტიტუციის პირველი შესწორება მოიტანა, რომლის თანახმად, ამერიკაში არავის აქვს უფლება, შეზღუდოს რწმენის თავისუფლება, ხოლო ჰომოსექსუალური ქორწინება ქრისტიანულ რწმენას ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება დემოკრატებს ამერიკაში, საქართველოში, ალბათ, ცოტას თუ ახსოვს 2008 წლის ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდი, როდესაც ახლანდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ჰილარი კლინტონი დემოკრატთა ყრილობაზე წარდგნენ. მაშინ დემოკრატიული პარტიის გავლენიანმა წარმომადგენლებმა ობამას დაუჭირეს მხარი, თუმცა ერთი პირობა წაუყენეს — ჰილარი კლინტონი არ უნდა ყოფილიყო ობამას ადმინისტრაციაში არავითარ თანამდებობაზე.

ჰილარი გავლენიანი ამერიკელი დემოკრატის მადლენ ოლბრაიტის ხაზის გამტარებლად ითვლება. ობამა იმ დროს მისი ხაზის საწინააღმდეგო ლოზუნგებისა და პოლიტიკის დეკლარირების გამო აირჩიეს პრეზიდენტობის კანდიდატად.

ამერიკის მხარდაჭერის გარეშე საქართველოს გაუჭირდება დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რომ არაფერი ვთქვათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. ჩვენს რეგიონში განვითარებული მოვლენები ამაზე მეტყველებს. ის, რომ აშშ-თან ჩვენმა ქვეყანამ უნდა გააგრძელოს და გააღრმაოს თანამშრომლობა, უდავოა, მაგრამ არ გამორიცხავს სხვა, თუნდაც აშშ-ის მოწინააღმდეგე ქვეყანასთან მოლაპარაკებებს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ოფიციალურ დიპლომატიას, ასევე კულუარულ მუშაობას ცალკეულ გავლენიან კანონმდებელთან აშშ-ში, რადგან სწორედ ასეთ მუშაობას შეუძლია მოუტანოს საქართველოს დადებითი შედეგები.

დღეს ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში არსებული სიტუაცია, წინასაარჩევნო გარემო იძლევა იმის შანსს, რომ ჩვენმა ქვეყანამ წარმატებული ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით და მეტი სარგებელი ნახოს საკუთარი უსაფრთხოებისა და პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.

თუმცა, საქართველოს ერთი პრობლემა აქვს — ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ნაკლებად გააჩნია კონტაქტები ამერიკის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებთან.

ამის მიზეზი, ერთი მხრივ, რესპუბლიკელი კონგრესმენებისა და სენატორების მიერ სააკაშვილის ხელისუფლებაზე გამოთქმული დადებითი აზრია. თუმცა, პრობლემას უფრო ღრმა საფუძველი გააჩნია — ამერიკელი რესპუბლიკელების პოლიტიკური მოწინააღმდეგე და დემოკრატიული პარტიის უმსხვილესი შემომწირველი ჯორჯ სოროსი საქართველოში მრავალი პარტიის, პოლიტიკოსის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სხვადასხვა სახის ლიბერალური ჯგუფის დონორი გახლავთ.

ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებულ პოლიტიკოსებს, პარტიებსა თუ ლიდერებს გაუჭირდებათ კონსერვატორულ წრეებთან საერთო ენის მონახვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში მოქმედებს მრავალი ინსტიტუტი, რომლებსაც სახელმწიფო დეპარტამენტისგან აქვთ გრანტი გამოყოფილი. ამ გრანტების გამოყენებით ჩამოყალიბდა კავშირები თეთრ სახლში და საკანონმდებლო ორგანოშიც. ამერიკაში იზოლაციონისტური ადმინისტრაციის შექმნის შემთხვევაში შესაძლოა მათ ეს სახსრებიც და კავშირებიც დაკარგონ. ნოემბერში, არჩევნების შემდეგ კი ახალი მოკავშირეების ძიება გაჭირდება.

საქართველო ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდება და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ამ რეალობას მომზადებული უნდა შეხვდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პრობლემების წინაშე მარტო აღმოვჩნდეთ.

# კვირიკაშვილის მეუღლე უმუშევარია

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჯავახიშვილის მეუღლე მარინა ჩადუნელი 2011 წლის 10 აგვისტოდან შპს ახალი საწარმოო ჯგუფის ერთ-ერთი პარტნიორი და კაპიტალის 31%-ის მფლობელია, თუმცა ამის შესახებ მინისტრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში მითითებული არ არის. შესაბამისად, უცნობია ინფორმაცია საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების თაობაზე.



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მეუღლე ნინო ცირეკიძე ლიბერთი ბანკში სპეციალისტად მუშაობს. 2014 წლის განმავლობაში მისი შემოსავალი 1.473 ლარი იყო.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის მეუღლე ეკატერინე ინასარიძე ბიზნესმენია. იგი რამდენიმე საწარმოში პარტნიორია და ფლობს სხვადასხვა ოდენობის წილებს. მინისტრის ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, მის მეუღლეს 2014-2015 წლებში შემოსავალი არ მიუღია, თუმცა, 2015 წელს ეკატერინე ინასარიძემ რამდენიმე შპს-ს წილი შეიძინა, რაშიც საერთო ჯამში 1.049.787 ლარი გადაიხადა. მანვე 15.000 ლარი გადაიხადა უძრავი ქონების შესაძენად.

თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მეუღლე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილია, რომლის წლიური სახელფასო შემოსავალი 80.000 ლარი იყო, ხოლო ოჯახის სხვა წევრები დასაქმებულნი არ არიან.

შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მეუღლე ნინო გედევანიშვილი ლიბერთი ბანკის ოპერატორი იყო, 2015 წლიდან კი ინკასაციისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის საქმის წარმოების ჯგუფის უფროსია. იმავე წლის განმავლობაში მან ხელფასის სახით 11.200 ლარი მიიღო.

არსად არიან დასაქმებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილის ოჯახის წევრები, თუმცა მინისტრის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ყველა მათგანს გააჩნია ნაღდი ფულადი თანხა — მეუღლეს და 2 შვილს — 5-5 ათასი აშშ დოლარი, ხოლო მესამე შვილს, 18 წლის ლუკა აგულაშვილს — 45.000 აშშ დოლარი.

არსად მუშაობენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ კახა კახიშვილისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ოჯახის წევრები.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ოჯახის წევრი დეკლარაციაში მითითებული არ ჰყავს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას ქონებრივი დეკლარაცია ჯერჯერობით არ წარუდგენია.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ასეული „ბრავო“ ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის ასეული „ბრავო“ ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა.

130 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძე ალექსეევკის აეროპორტში დახვდა.

— მინდა თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს დიდი მადლობა გადავუხადო. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებით, ვულოცავ მათ სამშობლოში დაბრუნებას და ვუსურვებ წარმატებას, — განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ.

ქართველი სამხედროების დასახვედრად აეროპორტში ასევე მივიდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ვიცეპოლკოვნიკი ნიკოლოზ აგლაძე, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის სარდალი პოლკოვნიკი შალვა ჯაბახიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცეპოლკოვნიკი როლანდ კიკნაველიძე და სხვა მაღალი რანგის სამხედროები.

— მაზარ-ი-შარიფიდან 130 სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა. მათ წარმატებით შეასრულეს თავიანთი მისია. 32-ე ბატალიონის ასეული მე-2 ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ასეულმა ჩაანაცვლა და დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ ხსენებული ასეულიც წარმატებით დაგვიბრუნდება. ბიჭებს შინ დაბრუნებას ვულოცავ, ასევე ვულოცავ მათ ოჯახებს და მთელ შეიარაღებულ ძალებს, — განაცხადა ნიკოლოზ აგლაძემ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის „ბრავო“ ასეული ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, მაზარ-ი-შარიფში გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში 7 თვის განმავლობაში მსახურობდა.

ქართული ასეული ბაზა „მარმალზე“ სწრაფი რეაგირების ამოცანებს ასრულებდა. მე-3 ქვეითი ბრიგადის ასეული საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ასეულმა ჩაანაცვლა.

**ნიუსპრესი**

## გამოხმაურება

## ნუ გამოიყენებთ ფონდ „იავნანას“ სახელს პოლიტიკური „შავი პიარისთვის“!

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ არაერთი განცხადება გაავრცელა, რომელშიც თხოვნით მიმართავს გარკვეულ ძალებს, არ გამოიყენონ ფონდის სახელი პოლიტიკური მიზნებისა და „შავი პიარისთვის“.

2016 წლის 20 ივლისის გაზეთ „ახალი თაობის“ №170 ნომერში გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „რაში ხარჯავს პაატა ბურჭულაძე მოქალაქეების საქველმოქმედო შენაწირს?“. სტატია მოკლებულია ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს და ნიშანდობლივია, რომ მას არ ახლავს ავტორის სახელი.

შეგახსენებთ, რომ პაატა ბურჭულაძემ ფონდის მართვიდან გასვლის შესახებ 2015 წლის დეკემბერში განაცხადა. იგი ასევე ყველა კანონის დაცვით, როგორც კი გახდა პოლიტიკური სუბიექტი, სრულად გაემიჯნა ფონდის გამგეობას.

ზემოაღნიშნულ სტატიაში დასმულ შეკითხვას კი დაინტერესებულ პირთათვის ნათლად პასუხობს ფონდის მიერ ყოველწლიურად კანონის მოთხოვნის საფუძველზე გამოქვეყნებული წლიური ანგარიში.

„იავნანას“ საქმიანობა ყოველთვის იყო გამჭვირვალე. ფონდი გაწეული ქველმოქმედების შესახებ ყოველი აქციის დასასრულს დეტალურ ანგარიშს აბარებდა საზოგადოებას. მაყურებელს აგრეთვე შესაძლებლობა ეძლეოდა, პირდაპირ ეთერში, სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე საკუთარი თვალით ეხილა ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის შეძენილი სახლების ვიდეოგამოსახულება.

ფონდი ზედმიწევნით ასრულებდა და ასრულებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას. საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს ყოველწლიურად ბარდება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტი. აგრეთვე, ყოველწლიურად ქვეყნდება წლიური პროგრამული ანგარიში (ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“), სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რაში დაიხარჯა ფონდის მხარდამჭერთა მიერ გაღებული შემოწირულობები.

„იავნანას“ შემოქმედებითი ჯგუფი და ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, ნუ შეუწყობთ ხელს სრულიად უსამართლო და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ინფორმაციების გავრცელებას. ნუ გახდებით პოლიტიკური „შავი პიარის“ ნაწილი. დაუშვებელია, კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების გამო, ვთელავდეთ იმ ფონდის საქმიანობას, რომელიც სიკეთის კეთების სურვილით ანთებულ ათასობით ადამიანს აერთიანებდა 12 წლის განმავლობაში.

„იავნანა“ არასოდეს ყოფილა კავშირში რაიმე ტიპის პოლიტიკურ მოძრაობასთან და არც მომავალში იქნება. ფონდის მთავარი მისიაა ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დასახმარებელი სოციალურ-კულტურული პროექტების განხორციელება, სოციალურად დაუცველი წარჩინებული სტუდენტების თანადგომა.

ფონდმა ასევე შეძლო საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვება. მთელ ქართველ საზოგადოებასთან, საქართველოს მთავრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აღიარებულ არტისტებთან ერთად სოციალურად დაუცველი 115 ოჯახი დააბინავა, 879 სტუდენტს ნაწილობრივ დაუფინანსა სწავლების საფასური. 2008 წლის 25 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრამდე ყოველთვიურ დახმარებას ურიცხავდა აგვისტოს ომის დროს დაობლებულ 133 ბავშვს. დღემდე „იავნანას“ მზრუნველობის ქვეშ იმყოფება 7 წლის დიტო რაზმაძე, რომელსაც გორის დაბომბვის დროს დაეღუპა მშობლები. 12 წლის განმავლობაში „იავნანამ“ 7.000-ზე მეტ ბავშვს გაუწია სხვადასხვა სახის დახმარება.

დიდი მადლობა ფონდის ერთგულ მეგობრებს, ყველა იმ ადამიანს, ვისაც თუნდაც ერთი ზარი განუხორციელებია ჩვენს საქველმოქმედო ნომერზე ან ერთი თეთრი ჩაუგდია ფონდის ყულაბაში. „იავნანა“ სიკეთით გვაერთიანებს!

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონმა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატი დაასახელა



სამშაბათს დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიმართება. მასზე ოფიციალურად დაასახელებენ მას, ვინც დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის.

უკვე ცხადია, რომ ეს ჰილარი კლინტონი იქნება, რომელმაც პრაიმერიზში დამაჯერებლად გაიმარჯვა. მისმა კონკურენტმა დემოკრატიული პარტიიდან ბარნი სანდერსმაც მას საჯაროდ მხარდაჭერა აღუთქვა.

მისის კლინტონმა უკვე დაასახელა პოლიტიკოსი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში ვიცეპრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს. ეს 58 წლის ტიმ კეინია.

– ტიმს საუკუნეა ვიცნობ. ის გამოუსწორებელ ოპტიმისტია და თვლის, რომ გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს. აუცილებელია მონდომება და ყველაფერი მოგვარდება! დღეს ჩვენს გუნდს სწორედ ასეთი კაცი სჭირდება, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

ტიმ კეინი 1958 წელს სენტ-პოლში დაიბადა. დაამთავრა მისურის უნივერსიტეტი, შემდეგ იურიდიული სკოლა ჰარვარდში. კეინი მორწმუნე კათოლიკეა. ერთხანს ჰონდურასში კათოლიკე მისიონერადაც მუშაობდა. დიდ პოლიტიკაში 1994 წლიდან მოვიდა. კეინი იყო ქალაქ რიჩმონდის საბჭოს წევრი, შემდეგ რიჩმონდის მერად აირჩიეს. მისი პოლიტიკური კარიერა ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. 2001 წელს კეინი უკვე ვირჯინიის გუბერნატორი გახდა.

ტიმ კეინი ოპტიმისტია, ამიტომაც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს. არ ეწევა. ვირჯინიის გუბერნატორად ყოფნისას მან აკრძალა სიგარეტის მოწევა რესტორნებში, ბარებში და ა.შ. პოლიტიკური შეხედულებებით კეინი მტკიცე დემოკრატია.

# თურქეთი: დააპატიმრეს გიულენის ძმისშვილი

თურქეთში აშშ-ში მცხოვრები თურქი რელიგიური მოღვაწის გიულენის ძმისშვილი დააპატიმრეს. ერდოღანის ხელისუფლება გიულენს პუტჩის მოწყობაში ადანაშაულებს და ამერიკის მთავრობას მის გადმოცემას სთხოვს.

– ჩვენ მზად ვართ, გადავცეთ თურქეთს გიულენი, თუკი მისი დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთს წარმოგვიდგენენ, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ.

ერდოღანის ხელისუფლებას ჯერჯერობით ასეთი საბუთები ამერიკელებისთვის არ წარუდგენია. თურქეთში კი დაპატიმრებები გრძელდება. დაშალეს პრეზიდენტის გვარდია.

– საგანგებო მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება, თუკი საამისო აუცილებლობა არ იქნა, – განაცხადა თურქეთის პრემიერმა ილდირიმმა.





## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.


# აფეთქება ალეპოში

სირიელმა პარტიზანებმა მორიგი დივერსია განახორციელეს. ალეპოში მომხდარი აფეთქების შედეგად ასადის არმიის 36 ჯარისკაცი დაიღუპა.

ალეპო სიდიდით სირიის მეორე ქალაქია. ასადის ხელისუფლებაც ცდილობს მის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. დღეს ალეპო ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. ნაწილს ისლამისტები აკონტროლებენ, ნაწილს – ზომიერი სირიელი პარტიზანები, ნაწილს – ასადელები, ნაწილს – ქურთები.



# უკრაინა პოლონეთის წინააღმდეგ

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ უკმაყოფილება გამოთქვა პოლონეთის სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

სეიმის დადგენილებით, ვოლინის ტრაგედია (1942-53) პოლონელი ერის გენოციდად გამოაცხადეს და ამაში უკრაინელი ნაციონალისტები დაადანაშაულეს.

– სამწუხაროა, რომ პოლონეთის პარლამენტმა ასეთი დადგენილება მიიღო. ეს პოლონეთ-უკრაინას შორის მეგობრობას ხელს ძლიერ შეუშლის, – თქვა პოროშენკომ.



უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დღეს, როცა რუსეთ-უკრაინის ჰიბრიდული ომი მიმდინარეობს, პოლონეთ-უკრაინის მეგობრობას ორივე ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

– პოლონეთში უნდა ახსოვდეთ, რომ თავისუფალი უკრაინის გარეშე თავისუფალი პოლონეთის არსებობა გამორიცხულია, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა პავლო კლიმკინმა აღნიშნა, რომ პოლონეთის პარლამენტის დადგენილება ცალმხრივი და არაობიექტურია.

– ასეთი დადგენილების მიღება როგორც პოლონეთისთვის, ასევე უკრაინისათვისაც საზიანოა, – აცხადებს კლიმკინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

● ვაქირავებ საკუთარ სახლს ხეხილის ბაღით ხანგრძლივი დროით. ტელ: 557-68-83-43.

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დიქსონი საქართველოს მოქალაქეა

მაიკლ დიქსონმა საქართველოს მოქალაქეობა ლიუბლიანაში, სლოვენიაში საქართველოს საელჩოში მიიღო.

მაიკლ დიქსონი უკვე საქართველოს მოქალაქეა და ჩვენი ქვეყნის სახელით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას. 25 წლის ამერიკელმა გამთამაშებელმა, რომელმაც გასული სეზონი ჩეხურ ნიმბურკში გაატარა, ცოტა ხნის წინ ბერძნულ აეკ-თან გააფორმა კონტრაქტი.



დიქსონი საქართველოს ნაკრებს 14 ივლისს თბილისში შეუერთდა და ილიას ზუროსის გუნდს შეკრებაზე სლოვენიაში გაჰყვა.

მაიკლ დიქსონი საქართველოს ნაკრებში პირველ მატჩს 2 აგვისტოს პორტუგალიასთან ჩაატარებს.

# რომან ფიფია: „დინამოს მიზანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა“



საქართველოს ევროტურნირებზე ერთადერთი გუნდი შემორჩა – თბილისის დინამო. კლუბის პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

***– რას ფიქრობთ ზაგრების დინამოსთან ჩვენს შანსებზე?***

– ზაგრებთან უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. ვუყურე ამ გუნდის შეხვედრებს და ვარდარი არაფრით ჩამოუვარდებოდა. თითქმის ბოლომდე არ იყო გარკვეული, თუ ვინ გაივლიდა. ჩვენი მწვრთნელი ესწრებოდა ამ შეხვედრას, თვითონ ნახა მეტოქის შესაძლებლობები.

***– იარაბეკს დინამოსთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. რამდენად იქნება დამოკიდებული სლოვაკი სპეციალისტის მომავალი ევროთასებზე ნაჩვენებ შედეგზე?***

– ჩვენი შეთანხმების მთავარი პუნქტი და ჩემი მოთხოვნა იყო, დინამო გაივლიდეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

***– როგორც არ უნდა დასრულდეს ჩვენთვის ევროტურნირი, იგეგმება თუ არა გუნდის ბირთვის შენარჩუნება?***

– როგორც არ უნდა დამთავრდეს – ასე ვერ განვიხილავ! გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ დამთავრდეს წარმატებით. კიდევ ერთხელ ვამბობ: დინამოს მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა! ვინც იმსახურებს და სურვილი აქვს, რა თქმა უნდა, უნდა, დარჩება; ვისაც წასვლა უნდა, ეს მათთვის მიმინდვია, თავად დაფიქრდნენ და გადაწყვიტონ, ყველაფერზე მოვრიგდებით.

***– განვითარების რა სტადიაზეა დინამო და, თქვენი გათვლებით, როდის მიიღებთ იმ შედეგს, რისთვისაც ამდენი შრომა და ფინანსები გაიღეთ?***

– მადლობა ღმერთს, კლუბში ყველაფერი დალაგებულია და ამ მხრივ ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვართ. ვაკმაყოფილებთ საერთაშორისო სტანდარტებსა და პარამეტრებს. თუ სპორტული შედეგიც ადეკვატური არ იქნა, ამ ოდენობის ბიუჯეტის ხარჯვა ჩვენი ჩემპიონატის პირობებში შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს კარგად უნდა გაითავისოს ყველამ.

# 20 წლამდე ნაკრები მე-7 ადგილისთვის იბრძოლებს

საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრებს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში ჯგუფური ეტაპი იოლად დაძლია, შემდეგ ეტაპზე ხელი მოეცარა და ზედიზედ 2 მატჩი დიდი ანგარიშებით წააგო.



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და დიმიტრი ჟაკობოვის გაწვრთნილმა გუნდმა მეოთხედფინალში ისლანდიას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დიდი სხვაობით – 54:94 დამარცხდა.

მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველი მეოთხედის ბოლოს გადაწყდა, რომელიც ჩრდილოელებმა 29:5 მოიგეს. კუნძულელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, ქართველებს კი – თითქმის არაფერი. შორი სროლები – ეს იყო ისლანდიელთა ძირითადი იარაღი, რომელსაც ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს.

ქართველებმა ყველაზე უკეთესად მეორე პერიოდი ჩაატარეს, რომელიც 19:16 მოიგეს, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ ისლანდიელებმა ისევ იძალეს და საბოლოოდ ქართველებს სოლიდური მარცხი აგემეს.

საქართველოს ნაკრებში 10 ქულის ზღვარს მაიზერ რევაზაშვილი (14 ქულა) და გიორგი ტურძილაძე (12) ასცდნენ. ისლანდიელთაგან კი ეს ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა მოახერხა.

ამ მარცხის შემდეგ ჩვენები მე-5-8 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთვნენ. შემდეგ მატჩში ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდი 23 ივლისს ბოსნიასთან 49:89 დამარცხდა და მეორე წყვილში წაგებულ დიდ ბრიტანეთს მე-7 ადგილისთვის შეხვდება.

## შედეგები

**23 ივლისი**

**ფეხბურთი**

**რუსეთი. სუპერთასი**

ცსკა-ზენიტი ........ 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ლუცერნი ........ 1:2

სრ.გალენი-იანგ ბოიზი ........ 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-რიდი ........ 5:0

ალტახი-ვოლფსბერგერი ........ 1:0

შტურმი-ზალცბურგი ........ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-რუხი ........ 4:1

ლეგია-შლიონსკი ........ 0:0

**უკრაინა. პრემიერ ლიგა**

სტალი-კარპატი ........ 0:3

ვორსკლა-ჩერნომორეცი ........ 1:0

დინამო-ოლექსანდრია ........ 5:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-კოპენჰაგენი ........ 0:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

,ალმიო-კლამარი ........ 1:1

ნორჩიოპინგი-გეფლე ........ 2:0

ფალკენბერგი-იორებრო ........ 1:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

რუსენბორგი-ჰაუგესუნდი ........ 6:0

მიოლდე-სარპსბორგი ........ 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

სეინეიკომი-ლახტი ........ 4:1

## კალეიდოსკოპი

### ბრაზილიაში ოლიმპიური თამაშები ცხოველებისთვის მოაწყვეს

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში სტარტი აიღო სპორტულ-სათამაშო შეჯიბრმა ფლუფ გეიმმა. ამ ინფორმაციას სოციალური ქსელის ინსტაგრამის ბრაზილიური წარმომადგენლობა ავრცელებს, რომელმაც





ინტერნეტ სერვისის 60-ზე მეტი მომხმარებელი და მათი საყვარელი ცხოველები მიიწვია (ძაღლები, კატები, კურდღლები, ღორები და სხვა ცხოველები) შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად.

შეჯიბრები იმართება სირბილში, ბურთების დაჭერაში და ასევე სხვადასხვა სახეობებში. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად თავად ცხოველების პატრონებიც იქნენ მიწვეულნი.

– ჩვენ გვსურს ადამიანებს ვუბიძგოთ იმისკენ, რომ ისაუბრონ საკუთარ შესაძლებლობებზე, ნიჭიერებაზე, სპორტის საყვარელ სახეობაზე, – განაცხადა სოციალური ქსელის რედაქტორმა და კურატორმა ინეს შინამიმ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ც დივიზიონის ჩემპიონია



საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის გამარჯვებულია. ვალენტინ დერიუგინის, ნინო ყიფშიძისა და შოთა იანქოშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ანდორაში გამართულ ფინალურ მატჩში მასპინძელთა ნაკრები 54:35 დაამარცხა და ც დივიზიონის ჩემპიონი გახდა.

ქართველებმა მატჩის ბედი პირველი ტაიმის შემდეგ გაარკვიეს. საწყისი პერიოდი 15:4, ხოლო მეორე – 14:6 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის 29:10 დაწინაურდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ კედლებში თამაშობდნენ, ანდორელებმა ჩამორჩენის გაბათილება ვერ მოახერხეს. საქართველომ 29-ქულიანი უპირატესობა წარმატებით შეინარჩუნა და საბოლოოდ ჩემპიონობამდე იოლად მივიდა.

საქართველოს ნაკრებმა ბ დივიზიონში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# გოგა ჩანადირი: „თქვენ ხელს უწყობთ მკვლელობებს!“



ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი იმ საშინელ ავტოკატასტროფას ეხმაურება, რომელმაც 4 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ქართველი მორაგბეების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა.

**გოგა ჩანადირი:**

პარლამენტარებო!

თქვენ ხელს უწყობთ მკვლელობებს!

იმიტომ, რომ არაფრით მიიღეთ კანონი, რომელიც საგზაო დარღვევებისთვის ქულების დაკლებას ითვალისწინებს.

თქვენ სასჯელის სირბილით დანაშაულის ჩადენის სურვილს ქმნით.

პრემიერ-მინისტრო!

თქვენ ხელს უწყობთ მკვლელობებს!

რადგან სათანადოდ არ იაქტიურეთ, რომ ეს კანონი პარლამენტში გაგეტანათ, უზრუნველგეყოთ გარემო, რომელიც საგზაო შემთხვევებს საგრძნობლად შეამცირებდა.

მძღოლებო, განსაკუთრებით მამაკაცებო!

თქვენ ხელს უწყობთ მკვლელობებს!

რომ არღვევთ კანონს და გადაჭარბებით მოძრაობთ.

ხშირად ეს მაგარი ბიჭობა გგონიათ.

თუ რამე შეგიძლიათ, გადით რბოლაზე.

გოგონებო!

თქვენ ხელს უწყობთ მკვლელობებს!

როცა ალტაცებაში მოდიხართ გადაჭარბებით მოძრავი მძღოლი მამაკაცების გამო.

გადაჭარბებით მოძრავი მძღოლები კანონს არღვევენ. თუ ამას ხშირად აკეთებენ, ისინი კომპლექსიანები და არარეალიზებულები არიან.

გაგრძელდება ასე?

მაშინ შემდეგი მსხვერპლი შენი შვილი იქნება, შენი ნათესავი იქნება, შენი მეგობარი, მეზობელი, ახლობელი იქნება ან შენ იქნები შემდეგი მსხვერპლი!

# ლაშა ბაქრაძე: „გავუსწოროთ თვალი ბედნიერ მომავალს!“

ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე ქართველი ოლიმპიელების ჩაცმულობას გამოეხმაურა.

პუბლიცისტი და ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ჩვენ ნამდვილად გვჭირდება სენსიტიური სპორტული ტანსაცმელი.



**ლაშა ბაქრაძე:**

– დიახ, ჩვენც გვჭირდება კულტურულად სენსიტიური სპორტული ტანსაცმელი.

დიახ, კარგად ჩანს ჩვენი ოლიმპიელი სპორტსმენების ტანსაცმელში, ქვეყანა საითაც მიდის, საითაც მიჰყავთ ვასაძეებს, ფეხებზე მკიდია ხაბელოვებსა და მათ ნაჩალსტვოს.

გავუსწოროთ თვალი ბედნიერ მომავალს!

# მიშა ქირია: „ნუ კლავთ მომავალ თაობას!“



საოპერო მომღერლებმა იპოდრომის ტერიტორიაზე თბილისის ცენტრალური პარკის გაშენება მოითხოვეს, შეიკრიბნენ და მოხალისეებთან ერთად მიმდებარე ტერიტორიაც დაასუფთავეს, 25 ივლისს კი საყოველთაო გარბენს მოაწყობენ დედაქალაქის გამწვანებისთვის.

– საშინელება ხდება! იარეთ ფეხით, ველოსიპედით, მეტროთი. ნუ კლავთ მომავალ თაობას! ჩინეთის დაბინძურებულ ჰაერზე მესაუბრებოდა ჩემი იტალიელი მეგობარი და საქართველოში 2-ჯერ უფრო დაბინძურებული ყოფილა ჰაერი, რაც ამდენი ონკოლოგიური და არა მხოლოდ ონკოლოგიური დაავადების პირდაპირი გამომწვევი მიზეზია.

მერე, რომ ვიცით, ვიღაცას ჩვენი დახმარება სჭირდება და ჩავურიცხოთ თანხა, ამას სჯობია, აქამდე არ მივიყვანოთ საქმე.

არც მთავრობა და არც ოპოზიცია ხმას არ იღებს ამ საკითხთან დაკავშირებით და არც ამოიღებს, რადგან წამგებიანი თემაა მათთვის.

ვიცი, ბევრი არჩენს საკუთარ ოჯახს ტაქსაობით და ა.შ. მაგრამ სხვისი გაუბედურების ხარჯზე ასე არ უნდა ხდებოდეს! – აცხადებს ახალგაზრდა საოპერო მომღერალი მიშა ქირია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
## 25 ივლისისთვის



**ვერძი** – წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ შემთხვევაში. ამაში თქვენი ჭკუა და პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. **კურო** – თუ გარშემომყოფებისადმი სითბოთი და ნდობით განიმსჭვალებით, საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. თქვენი მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. **ტყუპები** – ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ემოციები მოთოკეთ და ეცადეთ, დამოკიდებული არავისზე იყოთ. **კირჩხიბი** – დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეების მოგვარებას ანდომებთ. გეგმები გეცვლებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. **ლომი** – ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **ქალწული** – ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. შანსი გეძლევათ, თქვენი ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. **სასწორი** – მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ღრიანკალი** – უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **მშვილდოსანი** – ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. **თხის რქა** – საკუთარ ჯანმრთელობას მეტად უნდა მიხედოთ. გუნება-განწყობა მკვეთრად გეცვლებათ. **მერწყული** – ფინანსურ სფეროში აღმასვლა შეინიშნება. მოსალოდნელია ახალი ნაცნობობა, ასევე წარმატება გელით სასიყვარულო ურთიერთობებში. **თევზები** – სიურპრიზებით აღსავსე დღეა. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარი მოგიძღვნან. გელით კარიერული წინსვლა. ოჯახში ცოტა დაძაბული სიტუაციაა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კალეიდოსკოპი

### სიდნეის სკოლაში ტაშის დაკვრა აკრძალეს

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის სახელმწიფო დაწყებით სკოლაში მოსწავლეებს ტაშის დაკვრა აუკრძალეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

სკოლის მოსწავლეებს შესთავაზეს თავიანთი სიხარული მდუმარედ, სახეზე აღფრთოვანების გამოხატვით ან მუშტად შეკრული ხელის ზევით აღმართვით გამოხატონ.



ამ ინიციატივის ავტორებმა გადაწყვიტეს, ასეთი სახით იზრუნონ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც ხმაურს ვერ იტანენ.

– მასწავლებლებმა ასევე შენიშნეს, რომ სიხარულის უხმოდ გამოხატვა ბავშვების ენერგიის დაზოგვის და ნევროზის, მოუსვენრობის შემცირების შესანიშნავი საშუალებაა, – ნათქვამია სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საერთოდ ავსტრალიური სკოლები პოლიტკორექტულობისკენ ისწრაფვიან. ზოგიერთ საშუალო სასწავლო დაწესებულებაში დაუშვებელია ჩახუტება, საშობაო სიმღერების შესრულება, ავსტრალიის დღის აღნიშვნა, სიტყვა „შავის“ გამოყენება. ასევე ზოგიერთ სკოლაში რეკომენდირებული არ არის სიტყვების „ქალბატონის“ და „ქალების“ გამოყენება და ურჩევენ უფრო გენდერულ-ნეიტრალურის გამოყენებას, თუმცა რომლის, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. ... ნოლტი; 2. სანელებელი; 3. ლანგარი; 4. ეკლიანი ბალახი; 5. ეშმაკობა, ხერხი; 6. ...-კლარჯეთი; 7. საყვარელი ქალი (ძვ.); 8. თხის ტყავის ჭურჭელი სითხისთვის; 9. რისამე დედააზრი; 10. სასტუმროს მსახური ბიჭი; 11. შტატი (აშშ); 12. მამითადი; 13. რესტორნის საჭმელ-სასმელის ნუსხა; 14. ძალიან პატარის აღმნიშვნელი წინსართი; 15. ჩანაფიქრი; 16. მასმედიის საშუალება; 17. მსხვილი კაპიტალისტი; 18. ქალაქი კორსიკაზე; 19. სულთმობრძავის მდგომარეობა; 20. მდინარე შვეიცარიაში; 21. ქართული ტელეარხი; 22. ჰომეროსის პოემა; 23. გაზაფხულის თვე; 24. იუპიტერის თანამგზავრი; 25. სახელმწიფო აფრიკაში; 26. კუზიანი კურდღელი; 27. ღვინისა და არყის შესანახი ადგილი; 28. ტურგენევის მოთხრობა; 29. ვივიენ ...; 30. პერიოდული სხდომა პარლამენტში; 31. ... კლინტონი; 32. სახელმწიფო აფრიკაში; 33. ტერიტორია სამხედრო მეცადინეობებისთვის; 34. ესპერანტოს ვარიანტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გუბაზი; 2. ოკრიბა; 3. ლოსიონი; 4. სანტოსი; 5. მატროსი; 7. ვივალდი; 11. კაფია; 12. ხანძთა; 13. ვაკუუმი; 14. მოურავი; 15. ხოხობი; 17. სუძუკი; 19. კომო.

**თარაზულად:** 5. მოლუსკი; 6. პაროდია; 8. ბივა; 9. ბორდო; 10. ორბიტა; 11. კალა; 13. ვიქტორია; 14. მაფია; 16. ესაძე; 18. სტუკო; 20. ვერმუტი; 21. ბასკეთი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლამარა; 2. კრიტიკა; 3. პითაგორა; 4. ტრაილერი; 8. საარინენი; 9. ბენტონატი; 11. ბროდვეი; 12. დეპო; 14. ქერი; 16. სეკატორი; 17. სკლეროზი; 19. ალონსო; 21. თრუსო.

**თარაზულად:** 5. სიმპტომი; 6. დირიჟორი; 7. თურმანიძე; 10. ბორანო; 13. ჩინური; 15. სპიდვეი; 18. ხერესი; 20. ნატალი; 22. გეომეტრია; 23. პრეფიქსი; 24. უსურვაზი.

# რომში ბრიტანელი შადრევანში ბანაობისთვის დააჯარიმეს



იტალიის დედაქალაქ რომში ბრიტანელი ტურისტი ქალი 450 ევროთი დააჯარიმეს იმის გამო, რომ ის შადრევან ტრევიში ჩავიდა და შეეცადა გაეთამაშებინა სცენა ფრედერიკო ფელინის ფილმიდან „ტკბილი ცხოვრება“.

შვედი მსახიობი ანიტა ეკბერივით ჩაცმული ბრიტანელი შადრევანში ჩავიდა და ირგვლივ მყოფთ საჰაერო კოცნას უგზავნიდა. 54 წლის დელაილა ჯეი გამოწყობილი იყო საღამოს კაბაში, ხოლო მხრებზე ბეწვის მოსასხამი ჰქონდა მოსხმული. აღსანიშნავია, რომ ადგილზე ბრიტანელ ქალბატონთან ერთად მისული ფოტოგრაფი მომხდარს კამერით იღებდა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ქალს მოსთხოვეს წყლიდან ამოსულიყო. ჯეიმ ფულადი ჯარიმა გადაიხადა შადრევანში ბანაობისთვის.

– პოლიციელები მეტად ზრდილობიანად იქცეოდნენ და ისინი შადრევნიდან ამოსვლაში დამეხმარნენ. მე მათ ავუხსენი, რომ ეს იტალიის სიყვარულით გავაკეთე, ასევე მიყვარს ფელინი და მსურს ტკბილი ცხოვრებით ვიცხოვრო, – განაცხადა ბრიტანელმა ტურისტმა.

## ბრიტანელმა ქალმა ყვავის ბახალა გამოზარდა



ინგლისის დასავლეთ სუსექსის საგრაფოს მცხოვრებმა ქალმა ბუდიდან გადმოვარდნილი ყვავის ბახალა გამოზარდა და ის მის შინაურ ფრინველად იქცა.

ვიკი კენვორდმა ყვავის ბახალა მაისში გზაზე დავარდნილი იპოვა. 29 წლის ბრიტანელმა ჩიტი სახლში წაიყვანა, მოუარა და გამოკვება.

გოგონას თავისი ფრინველი, რომელსაც ფეიგლი დაარქვა, ყველგან დაჰყავს. აღსანიშნავია, რომ სამი თვის ყვავი თავის პატრონს არ ტოვებს და ხან მხარზე და ხანაც თავზე შეასკუპდება. ჩიტი ასევე ეთამაშება ვიკის ძაღლს და მის ბოიფრენდს და ასევე გამუდმებით იპარავს სხვადასხვა ნივთებს.

– სახლის ფანჯრები მუდმივად ღიაა და ჩიტს შეუძლია, როდესაც მოისურვებს, ნებისმიერ დროს გაფრინდეს, თუმცა ის ყოველთვის უკან ბრუნდება, – განაცხადა ვიკი კენვორდმა.

## კალიფორნიელი სერფერი ვეშაპს დაეჯახა



კალიფორნიელი ვივიან გუზმანი ზღვაზე სერფინგით სეირნობდა, როდესაც მის მახლობლად ზღვიდან ვეშაპი ამოხტა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მან იუთუბიში საკუთარ გვერდზე განათავსა. ეს ხუთი დღის წინ მოხდა და ამ ხნის მანძილზე, ვიდეორგოლი 115 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

გუზმანი სერფინგს ნიჩბის დახმარებით მართავდა და დამაგრებული კამერით პეიზაჟს იღებდა.

– მოულოდნელად წყლიდან ახალგაზრდა კუზიანი ვეშაპი ამოხტა და პირდაპირ ჩემს გვერდით ჩაყვინთა, – დაწერა ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარში გოგონამ, რომელმაც ასეთ რთულ სიტუაციაში სერფერის დაფაზე თავის შემაგრება მოახერხა.

## გაუპატიურებაში ბრალდებულ გერმანელ კომპოზიტორს სექსმონაც ჰყოლია



გერმანიის პოლიციამ 62 წლის კომპოზიტორისა და მიუნხენის უმაღლესი სამუსიკო სკოლისა და თეატრის მასწავლებლის სახლში სექსმონა აღმოაჩინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავები ჰანს-იურგენ ბ-ს სახლში ჩხრეკის ჩასატარებლად გაუპატიურების საქმეზე მივიდნენ. სახლში მათ იპოვეს პისტოლეტი, კოკაინი და ასევე სარდაფში დამწყვდეული 21 წლის სტუდენტი გოგონა. გარდა ამისა, აღმოჩენილ იქნა გოგონასთვის შედგენილი განრიგი, რომელშიც გაწერილი იყო, თუ როდის უნდა დასწრებოდა ის გაკვეთილებს კოლეჯში და ასევე როდის უნდა ჰქონოდა სექსი პროფესორთან და სხვა მამაკაცებთან.

აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორი სწავლების პროცესს ჯერ კიდევ 2015 წელს ჩამოაშორეს. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც მის წინააღმდეგ პირველი ბრალდება იქნა წაყენებული. მაშინ მისმა 32 წლის ყოფილმა საყვარელმა განაცხადა, რომ 2006 და 2007 წლებში მათი ურთიერთობის დროს ის მასთან ძალით ამყარებდა სქესობრივ კავშირს. ჩვენების მიცემის დროს ქალმა ასევე განაცხადა, რომ პროფესორს სახლში პისტოლეტი ჰქონდა და სწორედ ეს გახდა მის ბინაში ჩხრეკის ჩატარების მიზეზი.

## მირანდა კერი თხოვდება



ტოპმოდელმა მირანდა კერიმ წინადადება მიიღო მობილური დამატების სნეპჩატის დამფუძნებლის ევან შპიგელისგან. ამის თაობაზე ინფორმაცია გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

– მე ვუპასუხე „დიახ!“ – მიაწერა მოდელმა ფოტოსურათს, რომელზეც ის თითზე ბეჭდითაა გამოსახული. ამავე დროს, უცნობია, წყვილმა მომავალი ქორწილის თარიღი შეარჩია თუ არა.

33 წლის კერი და 26 წლის შპიგელი ერთმანეთს 2015 წლიდან ხვდებიან. მანამდე ცნობილი მოდელი ჰოლივუდის მსახიობ ორლანდო ბლუმზე იყო გათხოვილი, რომელსაც 2013 წელს დაშორდა. მათ ხუთი წლის შვილი ფლინი ჰყავთ.

შპიგელი დაქორწინებული არ ყოფილა. მან სნეპჩატი ბობი მერფისა და რეგი ბრაუნთან ერთად საკურსო სამუშაოს ფარგლებში მოიგონა, როდესაც სტენფორდის უნივერსიტეტში დიზაინს სწავლობდა. 2012 წელს შპიგელმა სწავლა უნივერსიტეტის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე მიატოვა, რათა მეტი დრო დაეთმო მესინჯერის შექმნისა და განვითარებისთვის.

## ყველაზე სასურველი მამაკაცი არჩეულია



მამაკაცების სილამაზის კონკურსზე მისტერ ვორლდ 2016, რომელიც ბრიტანეთის ქალაქ საუთპორტში ჩატარდა, მსოფლიოში ყველაზე სასურველი მამაკაცი აირჩიეს. ის გახდა ინდოელი მსახიობი და მოდელი როჰიტ კჰანდელვალი.

27 წლის კჰანდელვალი წარმოშობით ინდოეთის ქალაქ ჰაიდარაბადიდანაა. მისი მეგობრის, ფოტოგრაფ საიან სურ როიას თქმით, მან მოახერხა, რომ რამდენიმე წელიწადში სრულიად შეუმჩნეველი ყმაწვილისგან ეფექტურ მამაკაცად გადაქცეულიყო. ამას მან სპორტულ დარბაზში გულმოდგინე ვარჯიშით მიაღწია. კჰანდელვალი მისტერ ვორლდში მონაწილეობის მისაღებად მას შემდეგ იქნა დაშვებული, როდესაც მან მისტერ ინდოეთის ტიტული მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ კჰანდელვალი ინდოეთში დაბრუნდება. ის აპირებს, მოღვაწეობა გააგრძელოს სამოდელო ბიზნესსა და სამსახიობო კარიერაში.

## ყველაზე დიდმკერდიანი ქალი ფულს მკერდით შოულობს



ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა ქალმა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი და ნატურალური მკერდის პატრონი, ინტერნეტში საკუთარი მკერდის დემონსტრირებით მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

57 წლის ენი ჰოპკინს-ტერნერი რეკორდსმენი 1999 წელს გახდა და მას შემდეგ ეს ტიტული არავისთვის დაუთმია. ჯერ კიდევ პატარა ასაკში მას სარძევე ჯირკვლების ჰიერტროფია დაუდგინეს. აღსანიშნავია, რომ ქალის მკერდის წონა დაახლოებით 60 კილოგრამს შეადგენს, ხოლო სიგრძე 1,3 მეტრს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ექიმებმა ტერნერს მკერდის დაპატარავების ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. 1996 წელს ამერიკელმა ორი შვილის დედამ საკუთარი გვერდი შექმნა, სადაც ის საკუთარ ეროტიკული შინაარსის ფოტოსურათებსა და ვიდეოჩანაწერებს აქვეყნებს. პირველ 12 თვეში მან 50 ათასზე მეტი დოლარი გამოიმუშავა ფასიანი ხელმოწერის დახმარებით. ტერნერს ასევე საკუთარი გვერდი აქვს ტვიტერშიც, სადაც 16 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 25 ივლისი**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ცოდვა და სირცხვილი"** **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოება"** **18.00** "მოამბე" **19.00** "კომუნიკატორი" **20.00** "მოამბე" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. **"ბორგო ლარიჩის საიდუმლოება"** **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ **"ბოლეინის კიდევ ერთი ასული"** (ნ.პორტმანი) **01.10** მხ/ფ **"რაღაც ახალი"**

**08.00** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ **"მტირალა"** **16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გააგრელე საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. **"სიცრუე"** **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **00.30** მხ/ფ **"კოტონ მერი"**

**05.00** სერ. **"დახურული სკოლა"** **06.00, 16.00** სერ. **"თანხმობა"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ბამბის ველი"** **11.20** სერ. **"ჟუმონზი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ფიცი"** **1** სერ. **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ **"ნორბიტი"** **02.15** მხ/ფ **"მეცხრე ლეგიონი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"ცხოვრების გზები"** **19.45, 20.05** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **22.00** ქ. მხ/ფ. **"უშენოდ მგონი მოვკვდები"** **00.00** დ/ფ "გაწირული ჩეხოსლოვაკია" შ.მალაშხია **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. **"ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები"** **8.30** ან/სერ. **""ავატარი""** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00, 1.10** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00, 2.50** სერ. **"ძვლები"** **15.00** მხ/ფ **"მატრიცა"** **17.30** სერ. **"მსახიობი მამა"** **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. **"სამეფო კარის თამაშები"** **23.00** მხ/ფ **"უცხო"**

**06.10** მუს.პაუზა ხალხური. (საგალობელი) **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური "ოქონის ვედრების სპილოს ძვლის ხატი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **1.** რანინა **2.** გოგონა და შადრევანი **15.30** ერთხელ ბავშვობაში **16.15** სპექტაკლი **"შთამომავლობა"** **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლეები **19.20** მხ/ფ **"დაგვიანებული სასიძო"** **20.40** ძილი ნებისა "ნაცარქექია" **21.25** პატერიკი **35.** ხატმწერის შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია. **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **3.** წინასწარმეტყველი იონა II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო......**11.** პავლეს რომში გაგზავნა და მე-**4** სამოციქულო მოგზაურობა **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები "გურამ საღარაძე" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **08.00** სერ. **"ქალთა ექიმი"** **10.05** სერ. **"ტატიანა"** **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **13.00, 14.05, 01.00** სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.05, 17.05, 02.30** სერ. **კარმელიტა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. **"ზოგადი თერაპია"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ქალბატონი"** **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. **"სტანიცა"** **23.30** სერ. **"ფროიდის მეთოდი"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 ივლისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3479 |
| ევრო | 2.5864 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0776 |
| 100 რუსული რუბლი | 3.6425 |

**ამინდის პროგნოზი 25 ივლისისთვის**








26 ივლისიდან

სტენდალი

პარმის სავანე

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

29 ივლისიდან

სტენდალი

პარმის სავანე




ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



•••

ორი ხანშიშესული მამაკაცი მეტროს მატარებლის ვაგონში ზის და საუბრობს. ერთ-ერთ გაჩერებაზე ახალგაზრდა ღრმადეკოლტიანი გოგონა შემოვიდა. ერთ-ერთი მამაკაცი წამოდგა და გოგონას ადგილი დაუთმო. მამაკაცები შემდეგ გაჩერებაზე ჩავიდნენ, ერთი მეორეს ეუბნება:

– რას წამოხტი და ადგილი დაუთმე იმ გოგონას? ის შენზე ოცდაათი წლით მაინც იქნებოდა პატარა!

– ეეჰ, როგორი უყურადღებო და სულელიც იყავი ახალგაზრდობაში, ისეთივედ დარჩი.

– რატომ?

– ზევიდან ისეთი მშვენიერი პანორამა გადაიშალა, უკეთესს ვერ ნახავდა კაცი და მისი ყურება არ მერჩივნა შენ გვერდით ჯდომას?!

•••

სპორტულ მაღაზიაში შესული მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:

– თხილამურები და 53 ზომა „ბათინკები" გაქვთ?

– რომელი ზომა?

– 53.

– მასეთი ზომის პატრონს თხილამურები რაღად უნდა?!

•••

კბილის ექიმთან პაციენტი მამაკაცი შევიდა, ნერვიულობისგან ცახცახებს. ექიმმა შეხედა, ჭიქაში სპირტი დაუსხა, მიაწოდა და ეუბნება:

– მიდი გადაჰკარი, სიმხნევისთვის.

კაცმა გამოართვა და დალია. ცოტა ხანში ექიმი ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე, გამხნევდი?

– აბა ერთი ვინმემ გაბედოს და ჩემ კბილს თითი დააკაროს!!!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემმა ქმარმა მე ელექტროშოკერი მიყიდა, თავისთვის კი გაზის პისტოლეტი შეიძინა.

– მერე?

– მას შემდეგ ჩვენს ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა.

•••

მეზობელი ქალები საუბრობენ. ერთი მეორეს შესჩივის:

– ეეჰ, ანიჩქა, ისე გლახათ ვარ, წელიც მტკივა, ღვიძლიც და ნაღვლის ბუშტიც არ მივარგა, ყოველ საღამოს წნევები მაქვს...

– კაი, ქალო, გაჩერდი, ამ დილას არ იყო, შენი სახლიდან კაი გაწკეპილი კაცი რომ გამევიდა?

– მაი ერთი არ მტკივა, შე ქალო და ეგეც უნდა წამომაძახო?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




27 ივლისიდან

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


# ტაილანდელი პრინცი თვითმფრინავიდან მოკლე მაისურითა და პუდელით ჩამოვიდა

ტაილანდის ტახტის მემკვიდრე პრინცი მახა ვაჩირალონგკორნი თვითმფრინავის ბოინგ 737-ს ტრაპიდან მიუნხენის აეროპორტში ნახევრად შიშველი ჩამოვიდა. ამ ინფორმაციასა და მის ამსახველ ფოტოსურათებს გერმანული გამოცემა ბილდი აქვეყნებს.

გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე ჩანს, რომ ტაილანდის ტახტის 63 წლის მემკვიდრეს აცვია დაბალწელიანი ჯინსი და მოკლე უსახელებო ტოპი, რომელიც პრაქტიკულად ვერ ფარავს მის მრავალრიცხოვან სვირინგებს. ფეხზე პრინცს აცვია სანდლები, ხოლო ხელში თეთრი პუდელი უჭირავს.



ამ მგზავრობის დროს პრინცს თან ახლდა მეუღლე, რომელსაც ასევე ვიწრო ჯინსი და ტოპიკი ეცვა. სამაგიეროდ, პრინცის 30 ადამიანისგან შემდგარი დაცვის თანამშრომლები მკაცრ საქმიან კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი.

გამოცემის ინფორმაციის თანახმად, ვაჩირალონგკორნმა თავისი მეუღლისთვის ვილა შეიძინა ბავარიაში ტბა შტარნბერგზე და მასში ათი მილიონი ევრო გადაიხადა.

ტაილანდის ტახტის მემკვიდრისთვის ეს მესამე ქორწინებაა. მას შვიდი შვილი ჰყავს. თავის ქვეყანაში ის პოპულარობით არ სარგებლობს, მდიდრულად ცხოვრობს, ხოლო მის ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი ფარავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ავსტრალიელი მეთევზე წყალქვეშ თეთრ ზვიგენს შეეჯახა

ავსტრალიის შტატ კვინსლენდის მცხოვრები წყალქვეშ თევზაობის დროს დიდ თეთრ ზვიგენს გადააწყდა. ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათი მამაკაცმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



სურათისთვის თანდართულ კომენტარში ბრეტ ლევინგსტონმა იმ დღეს, როდესაც ის უდიდეს მტაცებელს გადააწყდა, საკუთარ ცხოვრებაში ყველაზე დაუვიწყარი დღე უწოდა.

– გუშინ პირისპირ შევეჩეხე ამ შესანიშნავ ოთხმეტრიან თეთრ ზვიგენს. კიდევ კარგი, რომ მას შემდეგ, რაც მას საკუთარი ჰარპუნით ვუჩხვლიტე, ჩემი შეჭმის სურვილი არ გასჩენია, – დაწერა ავსტრალიელმა, რომლის მიერ გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა სამი ათასამდე მოწონება მიიღო.

ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი ლევინგსტონის კომპანიონმა, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა სათევზაოდ. ვიდეოზე ასახულია დრაივერების მახლობლად მოცურავე დიდი თეთრი ზვიგენი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ფრანგი მწერალი; 7. ურანოსისა და გეას შვილი ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ველური ზოლებიანი ცხენი; 9. რაიმე მოძღვრების მომხრე; 10. ტყის მსხალი; 13. შენობის მთავარ კარნიზს ზემოთ სართული; 15. მცირე პიესა, მუსიკალური ნაწარმოების ორ ნაწილს შორის ჩართული; 18. შტატი აშშ-ში; 20. საჰაეროსთან დაკავშირებული სიტყვის თავსართი; 21. შენობა მუსიკალური წარმოდგენისთვის ძველ საბერძნეთში; 23. კინოფილმების საწარმო; 24. ძველგერმანული ვერცხლის ფული.

**შვეულად:** 1. ტიპობრივი ნიმუში; 2. წვრილი გვარლი; 3. პატარა სატვირთო-სამგზავრო მანქანა; 4. ბუდისტთა მღვდელი; 5. რისამე საგანგებოდ შერჩეული ნარევი; 11. ხელით სატარებელი ბარგი; 12. საზღვაო მოგზაურობა; 14. მუსიკალური ნაწარმოების დამამთავრებელი ნაწილი; 16. ხელოვნური ბოჭკო; 17. მსხვილი კაპიტალისტი; 19. პლანეტა ნეპტუნის თანამგზავრი; 21. ზღვის დიდი კიბო; 22. სიგრძის საზომი ერთეული.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**

